

№ 11-12  
1930 წელი



# სიმონე





# პ ი ო ნ ე რ ი

პიონერების და მოსწავლეთა სოციალური-  
ლიბერალური შინაგანი.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და  
განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური  
აღზრდის მთავარკარტველთა შინაგანი-განმ-  
ათვის.

№ 11-12

30 ივნისი  
1931  
წელიწადი მ-6  
რედაქციის მისამართი:  
ტფილისი, რუსთაველის პრ.  
№ 22.  
სახელგამი,  
საგვარამო საქსია

## შ ი ნ ა ა რ ს ი

საზოგადოებრივი სასარგებლო მუშაობა  
ბანაკად — მ. გორგაძე.

მოწოდება ჩამორჩენილ  
რაიონს — გ. შატერაშვილი

ჩამოყვანილობით ბავშვთა შრომა კოლ-  
მეურნეობებში — ანგია

ალაზნის ველზე — ავთანდილ კაჭმაძე

ბოლშევიკური მოსაზრების შეფუთვა, ბოლ-  
შევიკური ნათესი ბოლშევიკურად

მოვიმკად — ან. გველესიანი.

პიონერული — გ. ქუჩიშვილი.

ამხანაგო პიონერ-ოქტომბრელებო  
— რადიო

საბჭოთა ტემპი — ბორის ჩხეიძე

ზ ი ა — სეზმან ერთაწმინდელი.

ამუნდსენი ცოცხალია?

ვეძახით ყველა პიონერ-ოქტომბრე-  
ლებს — ა. გ.

ყველა პიონერს — გრიშა ესებუა

ბრძოლა ახალი ყოფა-ცხოვრებისა-  
თვის — კ. მელაძე.

სამხედრო ტურიზმი დასავლეთში — გ. ლი


ამხ. კალინინის მიმართვა ყველა მშრო-  
მელისადმი

როგორი იქნება მომავალი ომი?  
ორი ქვეყანა

ჩინეთში დახვრიტეს ექვსი რევოლიუ-  
ციონერი მწერალი.

ჩან-კაი-შის ჩექმის ქვეშ

სოცმეჯობრის გაშლისათვის  
პიონერორგანიზაციაში — გ. საათაშვილი  
ქადრაკი.



რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.



# საზოგადოებრივი სასარგებლო მუშაობა ბანაკად



პიონერთა გამაჯანსაღებელი დაწესებულებანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მხოლოდ ფიზიკურ გამაჯანსაღებელი საშუალებანი, არამედ მათ მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეჭიროს საზოგადოებრივ-სასარგებლო, პოლიტიკურ-აღმზრდელობით და კულტურულ - განმანათლებელ მუშაობას.

თუ წარსულში, განსაკუთრებით კი 1925 და 1926 წ., პიონერთა ბანაკები საქართველოში თითქმის არაფერს აკეთებდნენ საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობის დარგში და მხოლოდ ისვენებდნენ, უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში და განსაკუთრებით კი 1930 წლის ზაფხულში საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობაში დიდი ნაყოფი გამოიღო.

აი პიონერთა მიერ ჩატარებული მუშაობა:

ლენრაიონის პიონერთა ბანაკი „გიგანტი“ სამსახურს უწევს ქვიშხეთის ქოხ-სამკითხველოს. პიონერებმა გადასცეს გლეხობას აგროლიტერატურა, გავზავნეს გლეხობისათვის სამი მოძრავი კინო; 25 ივლისს „საკავშირო შრომის დღეს“, ჩატარებულ იქნა სათანადო კამპანია.

გარდა ამისა, პიონერებმა შეაკეთეს გზა, გაასუფთავეს არხი და ღარიბ გლეხთა იზოები და სხვ. თითოეულმა პიონერ-კოლექტივმა მოაწყო სილოსის თითო ორმო, ისინი აძლევდნენ ღარიბ გლეხებს საექიმო დახმარებას და წამლებს უსასყიდლოდ. ბანაკმა მოაწყო მეტიორმოცი წლის სადგური, სადაც პიონერები აწარმოებდნენ დაკვირვებას და ჩაწერას.

„26“ კომუნარის ბანაკი ეხმარებოდა გლეხობას კარტოფილის აკრეფაში. თივის მოთიბვაში. სოფელ ვოსკრესენოვკაში. თა არტანუჯულში პიონერებმა მოაწყვეს შაბათობა მოსავლის აკრეფის მიზნით; კარაკლისის მახლობლად მდებარე საბჭოთა მეურ-

ნეობაში პიონერებმა ჩატარეს 10 შაბათობა, მუშაობაში 996 პიონერი იღებდა მონაწილეობას.

ქუთაისის პიონერთა ბანაკმა იმუშავა სოფელ იტრიას კოლმეურნეობაში. გარდა ამისა, პიონერებმა დახმარება გაუწიეს მოსავლის აკრეფაში წითელარმიელთა 4 ოჯახს და ღარიბ და ქვრივ-ობლების 6 ოჯახს. სოფ. იტრიაში გლეხთა საჭიროებისათვის გააცვანეს გზა ბილიკი 500 მეტრის მანძილზე.

აფხაზეთის ბანაკის 100 პიონერი ეხმარება საბჭოთა მეურნეობას ხილის აკრეფაში და ერთი დღის განმავლობაში ეხმარება კოლმეურნეობას კარტოფილის აკრეფაში.

ზუგდიდის პიონერებმა მოაწყვეს სამი შაბათობა კოლმეურნეობის დასახმარებლად და ორი შაბათობაც ღარიბი გლეხობისათვის.

ასეთსავე მუშაობას ატარებდნენ სამტრედიის, ბორჯომის, ზესტაფონის, ქიათურის ორგანიზაციათა ბანაკები.

ზოგიერთი ორგანიზაციის გამოცდილება იყარაწინებს, რომ ბანაკის ადგილები ვერ იყო ხეირიანად შერჩეული. ზოგიერთმა ბანაკმა ისეთი ადგილი შეარჩია, რომ თითქმის არავითარი მოშაობის წარმოება იქ არ შეიძლებოდა. ამ გარემოებას წელს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და თითოეულმა ორგანიზაციამ ისეთი ადგილი უნდა შეარჩიონ, სადაც პიონერებს საშუალება იქნებათ უმუშალო მონაწილეობა მიიღონ კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში და ხელი შეუწყონ სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციას.

## ბანაკი და კოლმეურნეობა

ხუთწლიან გეგმის მიხედვით კოლმეურნეობებში უნდა იქნეს გაერთიანებული 19 მილიონი მოსახლეობა. პიონერებმა კოლექტივიზაციის გეგმის შესრულებაში პარტიასა და კომკავშირს დახმარება უნდა გაუწიონ.

ბანაკმა უწინარეს ყოვლისა უნდა მოაწყოს ესაუროსია უახლოეს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში და დაწვრილებით გაეცნოს მას ყოველდღიურად. იქ, სადაც კოლექტივი არ არის ჩამოყალიბებული, პიონერებმა სოფლის მოსახლეობას უნდა განუმარტონ კოლმეურნეობის მნიშვნელობა და აუცილებლობა, პიონერებმა უნდა მოაწყონ ხმა-მალა კითხვა ქოხ-სამკითხველოებში, წითელ კუთხეებში და სხვ.

პიონერებმა დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეთა ზაფხულის საბავშვო არტელების დაარსებაში. შესაძლებელი იქნება ინვენტარის და თესლის შეძენა. გლობობაც; თუ კი დაინახავს ნაყოფიერ მუშაობას, რასაკვირველია, თანაგრძნობით შეეგებება

ზაფხულის წამოწყებას და დაეხმარება მათ.

ზაფხუთა არტელების მოწყობის მაგალითი მრავალია საბჭოთა კავშირში, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებენ.

## სოფლის და კოლმეურნეობის პიონერაზმისათვის დახმარება

თუ კოლმეურნეობაში (სოფლად) არსებობს პიონერთა კოლექტივი, ბანაკმა მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. სოფლის კოლექტივებმა ხშირად არ იცავენ, თუ როგორ უნდა იმუშაონ, რას მოკვდიონ ხელი, იმყოფებიან კუდ მატერიალურ მდგომარეობაში. ბანაკმა უნდა გამოიყოს უფროსი პიონერთა ჯგუფები სოფლის პიონერაზმში მუდმივ სამუშაოდ. ისინი უნდა დაეხმარონ რაზმს და რგოლებს შეკრებათა ჩატარებაში, ექსკურსიების მოწყობაში და სხვა.

ხშირად უნდა იმართებოდეს პიონერ-რაზმების საბჭოების გაერთიანებული კრებები და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის კოლექტივის წინამძღოლთა მომზადებას. ბანაკმა უნდა შესძლოს რაზმის მუშაობაში მასწავლებლის, ქოხ-სამკითხველოს გამგის და აგრონომის ჩაბმა, მანვე უნდა იზრუნოს რაზმის მატერიალურ სახსრებზე, რა მიზნითაც მოლაპარაკებას აწარმოებს სათანადო ორგანიზაციებთან.

პიონერაზმის ორგანიზაციული ჩამოყალიბებისთანავე საჭიროა მუშაობის დაწყება. პიონერაზმის მუშაობის გეგმა უნდა შეეფარდებოდეს კოლმეურნეობის საერთო გეგმას, მას ვათვალისწინებული უნდა ქონდეს კოლმეურნეობის ამოცანები.

პიონერაზმს უნდა ახსოვდეს, თუ რამდენად რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობის ასრულება ეკისრება მას სოფლის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში. ინგრევა ძველი ცხოვრება; ისაობა ძვირი ზნე-ჩვეულებანი, თითოეული დღე ჰბადებს



პიონერები გლეხებთან საგარეჯოში



საგარეჯოს კოლმეურნეობის სამკითხველოში.





სულ ახალ და ახალ ამოცანებს, პიონერობის შინააღმშრდელიობითი მუშაობა, რაზმის და რგოლების შექმნები, პიონერაქტივთან მუშაობა, საბუნდრო და ფიზკულტურული მუშაობა, ინტერნაციონალური აღზრდა, კრილის გაზეით, სამხატვრო წრეების მუშაობა და სხვა ხელს უნდა უწყობდეს პიონერთაგან პოლიტიკურად მომხმადებელ, აგრონომიული ცოდნით აღჭურვილ ორგანიზატორ-კოლმეურნეთა აღზრდას.

რაზმის შეკრებებზე, გარდა საზოგადოებრივ - პოლიტიკური საუბრებისა და საორგანიზაციო, შინასარაზმო საკითხებისა; უნდა ირჩეოდეს კოლმეურნეობის საერთო საკითხები: როგორი ნონაწილეობა უნდა მიიღოს რაზმმა საბჭოს და კოლმეურნეობის და სატრაქტორო-სამანქანო სადგურების საწარმოო გეგმათა შესრულებაში, როგორ მოეწყოს მუშაობა კოლმეურნეობებში, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით, როგორ მოეწყოს ქონსამკითხველო, წითელი კუთხე, როგორ მოწყვროდეს მუშაობა მცირეწლოვან ბავშვთა შორის კოლმეურნეობაში. პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება უნდა წარმოებდეს რგოლების შეკრებაზე.

კედლის გაზეთში უნდა შექმნიდეს კოლმეურნეობის ცხოვრება.

**კოლმეურნეობის პიონერთა მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში**

კოლმეურნეობა მშინ ჭანვითარდება, როდესაც ის წესიერად და მტკიცედ დააყენებს თავისი მეურნეობის საქმეს; წესიერი თესლთაბრუნება, მიწის ღრმად დახენა და განოყიერება, სასოფლო - სამეურნეო მაქანების გამოყენება, შრომის წესიერი ორგანიზაცია უზრუნველყოფს კოლმეურნეობის ზრდას.

პიონერებს უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვენს კლასობრივ მტერს - კულაკს უხარია კოლექტივის ყოველგვარი მცირე შეცდომა და მას იყენებს კოლმეურნეობის საწინააღმდეგოდ აგრესიის მიზნით, ამიტომაც პიონერები დანიტრესებული უნდა იყვნენ კოლმეურნეობის გაძლიერებაში.

**საქონლის მოვლა:** ამ მუშაობას ასრულებს უფროსი რგოლი, რომელიც ბოსლის და ეზოს სისუფთავეს და კვებავს საქონელს და გაყავს იგი ჰაერზე სასეირნოდ.

**ფრინველების მოვლა.** მეორე რგოლში უნდა ითავოს ფრინველების მოვლა; იგი აწყობს საქათმეს, საბურებს, ასუფთავებს ფრინველებს და ამით აუმჯობესებს მათ ჯიშს, პიონერებმა უნდა ითავონ, აგრეთვე, კოლმეურნეობის ბოსტნების და ბაღების მოვლა.

**მ. გორგაძე.**

**მოწოდება ჩამორჩენილ რაიონს**

გადაუდებელ წვიმების შემდეგ გაჩნდა ბალახი და სარეველა, ბიჭებო, ზამბის ველებს უშველეთ, ხელში აიღეთ თოხები ყველამ! სოცმეფეობით შევკრათ კავშირი და დამკრელურად ვჭეკოთ თოხნური, ძირს სიზარმაცე ჩრდილში გაშლილი, ძირს სიზარმაცე მუხლებმორთხმული!

ეს ჩამორჩენა სამარცხვინოა, იძლევიტ მხოლოდ 25 პროცენტს, იზრძოლეთ მარჯვედ, ხალისი მოვა, და ეს ციფრები სიხარულს მოგვცემს!

— აბა, ბიჭებო, დავტოვოთ უკან მამაპაპური ჩრდილში გორება, ზამბის ველებზე ხალისი უკრავს, და სიხარული დადგა მორგვად! ეს რაიონი, ხედავთ, ჩამორჩა.

ვერ დაასრულა პირველი თოხნა, მაგრამ დამკვრელთა თვლები მოჩანს დამკვრელთა გული ვერ იტანს ოხვრას...

—:—  
თქვენ სიხარულით დასტოვებთ ქობებს,

რომ გააღვიძოთ მშვიდმ ცეცხლებში გოგო-ბიჭებიც მინდვრებზე მოვლენ. გოგო-ბიჭები ფეხშიშველები... აქვე ამოვლენ ბრივადლები, მათ ქალაქიდან მოაქვთ მოლხენა, ზამბის ნათესებს თავზე ევლებით, ძირს სიზარმაცე და ჩამორჩენა!

—:—  
აბა, ბიჭებო, მარჯვედ თოხები, მოსპეთ ბალახი და სარეველა, ო, გამარჯვება! ჩვენთან მოხველით?!

აბა, თოხნური ვიმღეროთ ყველამ! ვიმღეროთ ასე კოლექტიურად, გულმა შრომაში არ ნახოს მოღლა, თქვენში ხალისის მზე გადმოსულა, გამირულად ხვდებით მეორე თოხნას!

—:—  
თორემ რა არის—ნათესებს ფარავს ბალახ ბუღახი და სარეველა... ეს მოწოდება გასკდეს ყუმბარად და აუფეთქოს გულები ყველას!

**ბ. შატბერაშვილი.**

**ჩამოვსალბოთ ბავშვთა შრომა**  
**კოლმეურნეობებში**

**დავალება ბანაკად მიმავალთ**

კოლმეურნეობებში ბავშვთა შრომა, —ეს პოლიტიკური შრომაა. ბანაკად ყოფნისა და კოლმეურნეობაში მუშაობის დროს უნდა დავეხმაროთ კოლმეურნეობას, რათა სწორად ჩამოვსალბოთ ბავშვთა შრომა.

რა უნდა გავაკეთოთ ამ მიმართულებით?

ბანაკში ჩასვლისას, რაზმი გამოჰყოფს რგოლს, რომელიც შეისწავლის იმას, თუ როგორ უნდა ჩამოვსალბდეს ბავშვთა შრომა კოლმეურნეობებში.

პირველი რაც აღვივებლად უნდა ვიცოდეთ, ეს არის საკითხი იმის შესახებ, თუ ბავშვთა შრომა როგორ არის დაკავშირებული სწავლასთან.

ზშირად ასე ხდება: ბავშვებმა, რომელიც საქონლის დასადგომ ეზოებში მუშაობენ, სრულიად არ იციან, თუ როგორ უნდა ჰკვებონ ძროხა, საერთოდ არ იციან, თუ როგორ ჩამოვსალბონ მეცხოველეობის მეურნეობა. ამრიგად, შრომა გამოცალკევებულია სწავლისაგან. არც სკოლა, არც კოლმეურნეობის მუშაკები არ აძლევენ ბავშვებს საჭირო ცოდნას.

ასეთ მდგომარეობას დაეინახავთ ბავშვთა მუშაობის სხვა სფეროშიაც; განსაკუთრებით კოლმეურნეობებში. ბავშვთა შრომა მხოლოდ იმით განსაზღვრებოდა, რომ ისინი ასრულებდენ შავ სამუშაოს, ხოლო კოლმეურნეო-

ბის ძირითად სამუშაოებში, ცხადია, მონაწილეობას არ ღიბულობდენ.

უფრო განმაცვიფრებელ შემთხვევასაც აქვს ადგილი: არის, თურმე ისეთი კოლმეურნეობა, რომელიც ბავშვებს შრომის ხელფასს არ აძლევს.

რა შეადგენს ბანაკის ძირითად ამოცანას ამ მხრივ? ბანაკის უმთავრეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს ის, რომ კოლმეურნეობის გამგეობის საშუალებით მოავაროს ბავშვთა შრომის ხელფასის გაცემა.

განსაკუთრებით აღრიცხულ უნდა იქნეს ბავშვთა დატვირთვები. თვითეული რგოლი დაწვრილებით აღრიცხავს იმ დროს რაოდენობას, რომლის განმავლობაში მუშაობენ ბავშვები და ყოველ ზომებს ხმარობს ბავშვთა ზედმეტი დატვირთვის წინააღმდეგ. უნდა მეფაღწიოთ იმას, რომ ბავშვები 12 წლამდე მხოლოდ 4 საათის განმავლობაში მუშაობდნენ, 12-დან — 14-მდე კი—6 საათს და 14-დან 16-მდე — არა უმეტეს 8 საათისა. ისიც ისეთ შემთხვევაში, როდესაც გაძლიერებული ტემპებით მუშაობენ მთელი რაზმები.

როდესაც რგოლი ბავშვთა შრომას სწავლობ, ის უნდა დანიტრესდეს იმით, როგორ მუშაობენ ბავშვები.

რამდენად განვითარებულია ბავშვებს შორის სოციალისტური შეჯი-




ბრება და დამკვერობა? როგორი სიმაღლეზე სდგას შრომის დისციპლინა?

პიონერთა ორგანო სოფლის ჯგუფებისა და კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად, დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს შრომის დისციპლინის დამრღვევთ, ზარმაცებს, გაპყდენლებს, რომლებიც არ სურთ სწავლა და აფერხებენ სასკოლო და საკოლმეურნეო დავალებათა შესრულებას.

ყველა ის მასალები ბავშთა შრომის შესახებ, რომელსაც რგოლი დააგროვებს კოლექტიურ მეურნეობაში, განხილულ უნდა იქნეს კოლმეურნეობის ჯგუფთა შეკრებაზე, სკოლაში, კოლმეურნეთა კრებებზე და მათთან ერთად გამომუშავებულ იქნას შრომის სწორი ორგანიზაციის გეგმა.

ბავშთა კომორგანიზაციის ცენტრალურმა ბიურომ პიონერთა ყველა ორგანიზაციებს მისცა დავალება — დაწყებულ იქნეს კოლმეურნეობებში ბავშთა შრომის ორგანიზაციის მასიური შემოწმება. ბანაკად მიმავალ პიონერთა მოვალეობაა — დაეხმარონ კოლმეურნეობებს — გადააქციონ ბავშთა შრომა პოლიტეხნიკურ შრომად, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია სწავლებასთან.

**ანგია.**



— ხაზვის გაკეთილი —

## ალაზნის ველზე

ბამბა ველზე ბიბინებს  
მკერდებს ეთამაშება,  
აბა ვთოხნოთ ბიჭებო,  
დროს არ უნდა გაშვება.

დასცხეთ თოხი, დაკარით,  
დასცხეთ კომკავშირულად,  
სოცშეჯიბრი აქ არის,  
სოც-შეჯიბრი გამირულად.

არ ჩამოვრჩეთ სხვა სოფლებს,  
წინ გავსწიოთ, ვაჯობოთ,  
საკონტროლო ციფრებსა  
უნდა გადავაჭარბოთ.

ბამბის გეგმას ვასრულებთ  
მშენებლობის გამრები,  
მოვაშოროთ ველ მინდვრებს,  
შრომის დეზერტირები.

სალამოა ღამაზი  
შრომის მხარე ვუგუნებს,  
ალაზანი დარცხვენით,  
ჩქრიალით მოდუდუნებს.

შორს კი ისმის სიმღერა  
ფოლადოვან კუნთების,  
შრომაში ვართ ჩამბული  
კომკავშირის გუნდები.

ბამბა ველზე ბიბინებს  
მკერდებს ეთამაშება,  
აბა ვთოხნოთ ბიჭებო,  
დროს არ უნდა გაშვება.

**ანთიანდლი ქაზმაძე.**

# ბოლშევიკური მისიონის უაღრესი მთავარი

საკავშირო ლენინური კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გაზ. „კომსომოლსკაია პრავდა“-ს წინადადება და გამოაცხადა მოსავლის საკავშირო კომკავშირული დაცვა.

კომკავშირისა და პიონერ-ორგანიზაციის მთელი ძალები მობილიზებულ უნდა იქნან ბოლშევიკური მოსავლის დასაცავად.

როგორც კი მოათავებენ თესვას, პიონერ ორგანიზაციამ მთელი ენერგია და ძალა უნდა მიმართოს მოსავლის დაცვისაკენ.

ნათესიცი არც ერთი ჰექტარი არ უნდა გაფუჭდეს მავნებლებისაგან; მიწის თვითუფლ ნაკვეთებისათვის უნდა გამოიყოს პიონერთა რაზმები, რომელნიც დაუნდობელ ბრძოლას გამოუცხადებენ ნათესების მავნებლებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობათა დაცვას მავნებლებისაგან, თვითუფლი პიონერი ვალდებულია ჩაოყალიბოს ოსოავიაციონის ბრიგადები მავნებლებთან საბრძოლველად. საუკეთესო პიონერ ბრიგადათ ჩაითვლება ის, ვინც უფრო მეტ მავნებლებს მოსპობს.

არც ერთი კილოგრამი თესლი არ უნდა დაიკარგოს ცუდი აკრეფით, კომკავშირის ბრიგადების დასახმარებლად ჩამოყალიბოთ პიონერთა ბრიგადები. ახლავე უნდა შემოწმდეს კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობებში ასაკრეფ მანქანების ვარ-

გისიანობა, უნდა შეევაკეთოთ ისინი და შეფოზა ავილოთ ასაკრეფ მანქანებზე.

ყოველმხრივ დაეხმაროთ კოლმეურნეობებს, რათა დაჩქარდეს მათი სანარლო სისტემაზე გადასვლა. ამთავითვე უნდა შეეადგინოთ მოსავლის აკრეფის კამპანიის გეგმა და მოცემული დავალება დაეიყვანოთ თვითუფლ დამკვერელ ბრიგადამდე და კოლმეურნეობამდე.

უნდა დაეხმაროთ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს, რათა ისინი მოეშადონ თიბვისათვის და დასილოსებისათვის. თვითუფლმა პიონერმა უნდა აიღოს თავის თავზე ვალდებულება მოამზადოს ორმო სილოსისათვის.

გარდა ამისა, უნდა გავფავართოვოთ მუშაობა ტარის შესავროვებლად — როგორც ქალაქად, ისე სოფლად, უნდა მოვაწყოთ პიონერის სახელოსნოები ტარის შესაკეთებლად.

საქარხნო ბაზებმა ბრიგადების საშუალებით უნდა დაიწყონ იმის შემოწმება — არის თუ არა თავის დროზე დამზადებული და რაიონებში გავზავნილი მანქანები.

ტრანსპორტის ბაზებმა კომკავშირის ბრიგადების დასახმარებლად უნდა ჩამოაყალიბონ პიონერთა პოსტები, რომელნიც თვალყურს ადევნებენ ასაკრეფ მანქანების თავის დროზე გავზავნას რაიონებში.

პიონერთა მთელი ბაზები მობილიზებული უნდა იქნენ კომკავშირის



დასახმარებლად მოსავლის დაცვისათვის.

პიონერ-ორგანიზაცია კომკავშირთან ერთად მზად უნდა იყოს პურის და ბოსტნეულობის დამზადების გეგმის შესასრულებლად.

დამზადების გეგმა დროზე უნდა შეესაბამებოდეს!

მოსავლის აკრეფის კამპანიისათვის სამზადისის დროს უნდა ავამობრაოთ ჩამორჩენილები და ყოველწრისე დავეხმაროთ მათ. პარტიასთან, კომკავშირთან და კოლმეურნეებთან ერთად, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ მთლიანად ჩავაბათ

საკოლმეურნეო მოძრაობაში ინდივიდუალური მეურნეები — ღარიბი და საშუალო გლეხობა.

მოსავლის დაცვა ბოლშევიკური ტემპები, ეს არის სასიკვდილო ლაცვარი კულაკისათვის.

ზემოთ აღნიშნული დავალებანი დეტალურად უნდა შევისწავლოთ, თვითუღმა პიონერმა განსაზღვრული და კონკრეტული დავალება უნდა აიღოს თავის დროზე, რომ ბოლშევიკური ტემპებით დავიცვათ ბოლშევიკური ნათესები.

ან. გველესიანი.



მექანიკური ქარხნის აგება დ იდუბეში

## პიონერული

ჩვენ ერთი ვართ და შეგნებაც ერთი სურვილით გაგვემსჭვალა: კომუნისმის გამარჯვებას შევავლით ჩვენი ძალა! ქარიშხლის შვილები ვართ არ გვჩვევია შიში დალლა! ოქტომბერის ამაყ დროშებს ვაფრიანობთ მაღლა, მაღლა! და ლენინის ანდერძს ვფიცავთ: არ დაგხაოთ მტრის წინ იგი დიდ ბრძოლებში ჩვენ შევცვალოთ

ძველი წყება, ძველი რიგი! და ვიბრძოლებთ, ვიდრე ხმელეთს არ გარდავქმნით შრომის ძალად, სადაც ყველა ტომის ბაღლი აღიზრდება სალად, ლაღად და მჩაგვრელთა ბატონობის არ გახდება, იარაღად, და ამ რწმენით, ურყევ რწმენით ძლიერდება ჩვენი ყრმობა! , გაუმარჯოს ყველა ქვეყნის პროლეტარულ ბავშვთა ძმობას!

გ. ჭუჩიშვილი.

ყოველ იბრძვის იმისათვის, რომ არ დარჩეს გაუკრეფავი არცერთი ბუჩქი ჩაი, რომ არ დაფუჭდეს ჩაის არცერთი ფოთოლი.

ნუთუ თქვენ გვერღზე გაუღებთ ამ ბრძოლას?

ნუთუ თქვენ პატარა ხელებს არ შეაშველებთ ჩაის ლამაზ ბუჩქებს!

ნუთუ თქვენ არ დაგენანებათ ამ მშვენიერი მკენარის დაფუჭება:

ცხადია, პიონერ - ოქტომბრელთა რაზმები კიყინით შეესევინან ჩაის პლანტაციებს.

თქვენ ჩაისთვისაც ისე უნდა იბრძოლოთ, მეგობრებო, როგორც ბამბისათვის.

ამ საქმეს უნდა უხელმძღვანელოს კომკავშირმა, მან უნდა დარაზმოს პიონერ-ოქტომბრელები ჩაის პლანტაციებზე.

კომკავშირთა და სარაიონო პიონერთა ბიუროს თაოსნობით ახლავე უნდა შესდგეს ჩაის რაიონებში პიონერთა ბრიგადები, რომელთა შორის უნდა განაწილდეს ჩაის აკრეფასთან დაკავშირებული შრომა.

ბრიგადებმა თავი უნდა გამოაცხადონ დამკვრელებად, ერთმანეთი უნდა გამოიწვიონ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

— ვინ მტე ჩაის შეკრეფს,—აი, ხელშეკრულების მთავარი მოხლი, რომლის შესრულებისათვის უნდა იბრძოლოს თითოეულმა თქვენთავანმა.

დაგვერწმუნეთ, მეგობრებო, რომ ვინც ბამბისა და ჩაის ფრონტს გაეჭყევა, ვინც გამოიჩინს ამ საქმეში დუნეურბრობას, ის ღირსი არ არის ატაროს პიონერ-ოქტომბრელის სახელწოდება, ვინც ასეთ დროს კოლმეურნეთა მასებს არ ამოუღებდა გვერდით, მას არა აქვს უფლება დარჩეს პიონერ - ოქტომბრელთა რიგებში.

ახლა სიტყვა თქვე გუკუთვნისთ. გაუმარჯოს პიონერ-ოქტომბრელთა ბრძოლას ჩაისა და ბამბის ფრონტზე.

რადიო.

## ამხანაგო პიონერ-ოქტომბრელებო

ტექნიკურ კულტურათა შორის ჩაის პირველი ადგილი უჭირავს; ამ ნაშვი მცენარისათვის მეტად ხელსაყრელი პირობებია დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში.

პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ჩაის ნათესების გადიდებისათვის ყოველგვარ ზომას იღებდა; ამ ღონისძიებებმა მიზანს მიაღწია; წელს დათესილია იმდენი ჩაი, რამდენიც არასოდეს არ ყოფილა.

— დავერდი კაცი და ამდენი ჩაი რომ დაგვეთესოს, მე არ მახსოვს, იწერებოდა ამას წინად ოზურგეთიდან მოხუცი გლეხკორი.

რა თქმა უნდა, წინად ნაკლებ ყურადღებას აქცევდა გლეხი ჩაის მოყვანას. ეს იმიტომ, რომ ჩაის საქმეს წინად ჩვენში განაგებდენ პოპოვები და სხვა კაპიტალისტები, რომლებიც

ოქრმეგ ტყავს აძრობდენ გლეხებს. ახლა კი გურიული და აჭარული გლეხი თვითონვე დაიპატრონა ჩაის პლანტაციებს, ახლა გეგმები მათ ხელშია ამიტომ არის, რომ გლეხებმა დიდი ხალისით და ინტერესით მოჰკედეს ხელი ჩაის მეურნეობას.

მაგრამ, პატარა მეგობრებო, ჩაისაც დიდი შრომა და ამაგი უნდა, თუმცა მთავარი სამუშაოები ჩაის პლანტაციებში უკვე შესრულებულია. ახლა საქმე აკრეფაზეა და იცოდეთ, რომ ესეც დიდი საქმეა.

თუ თავის დროზე წესიერად არ მოვკრიფეთ ჩაი, ამოდენა შრომა და ამაგი უქმად ჩაივლის.

ამისათვის პარტია, ადგილობრივი ორგანიზაციები და ოკოიხობა ახლა ამ საკითხს აქცევს მთავარ ყურადღებას.



დასავლეთ საქართველოს რკინის გზის სადგურები არაჩვეულებრივ მუშაობაში იყვნენ. ბილეთები იყიდებოდა შავი ზღვისკენ, დასავლეთით მიმართულ მატარებლებზე. ყველა სადგურის მორიგე უფროსები და მოლოჩეები, რომლებიც ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში სადგურს არ მოსცილებოდნენ და განუწყვეტლივ მუშაობდნენ, ამბობდნენ, რომ მათ თხუთმეტი წელში არ გაუყიდნათ ფოთის ამდენი ბილეთები. ყველა ლაპარაკობდა ფოთის შესახებ ზღაპრულ ამბებს. რაც სინამდვილესთან არც ისე დაშორებული იყო, თუ ქუცი განვალისწინებოდა იმ გიგანტური მშენებლობის ზუსტად შესრულებას, რომელიც 1922 წლიდან დაწყებული ვებერთელა ქარხნები და წამოებები რამდენიმე თვეში ბუმბუკებით აღიმართნენ. ასევე იყო ჯღესაც, და ეს ზღაპარივით მითქმა-მოთქმა ფოთისაკენ გამგზავრებულ ხალხს სინამდვილეთ ეჩვენებოდა.

„ფოთი“, „ფოთი“ — გაიძახოდნენ მგზავრები, იესებოდა მატარებლები და ზოგნი, რომელნიც ბილეთს ვედარ მოულოდნენ, ახტებოდნენ ვაგონების მოაჯირებზე, კიბეებზე, ეკიდნენ სახელურებზე...

ასეთი მგზავრობა ნებადართული არ იყო, მაგრამ რკინის გზის პოლიტსამმართველომ და მცველებმა ვერც ჯარიმით, ვერც შექარით ვერაფერი გააწყეს. მოზღვავებული, სანახაობის ნდომით ფატაცებული ხალხის წინააღმდეგობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერავინ ბედავდა ხმის ამოღებას.

თუმცა კონტრუქტორები ძალიან ჯავრობდნენ, მაგრამ საქმეში ჩაერიენ შემანქანებები, რომლებიც თავის თანხე იღებდნენ ყოველგვარ პასუხისმგებლობას და ხალხს მასუთით გასერილ ტენდერებზე ათავსებდნენ. რკინის გზის ტელეგრაფები აგზავნიდნენ ტფილისში დეპეშებს და ატყობინებდნენ გზის გამგებობას ფოთისაკენ ასეთი უნახავი და გაუგონარი მგზავრობის ამბავს. გზის გამგებობამ მცეტი ვერა მოიგონა რა არც და ნიშნა ათიოდერიგს გარემე მატარებელი, რომლებიც ისევე იესებოდნენ მგზავრებით...

დასავლეთის უბნის უფროსმა თავისი პასუხისმგებლობით და ნიშნა კიდევ ხუთი სამარშრუტო მატარებელი, რამაც ვერ შეანელა მგზავრების ნიაღვარი. ისინი შერიოდნენ და სხდებოდნენ ცისტერნებზე, ეკიდებოდნენ, სადაც კი შეიძლება ხელის მოვლება. მგზავრების ეს ამლილი არმია სადგურებში ყიდულობდა თამრავ ხილსა და სასმიელ — საჭმელს და ერთი მსხალი იყიდებოდა ათ შურად, თუ კი ვინმეს ის გასაყიდი ჰქონდა. ყველანი ფოთში მოდიოდნენ. მატარებლებს უკან მოპყვა მთავრობის განსაკუთრებული დანიშნულების მატარებელი; მათ არ დაეჯერათ ხალხის ასეთი გაუგონარი ძვრა და თავიანთი თვალთ უნდოდათ ენახათ — მართალი იყო თუ არა, ის, რომ ტფილისში არცერთი სერიოზული პოლიტიკოსი, პარტიის წევრი და ეკონომისტი აღარ დარჩა.

ყველანი მიდიოდნენ არაჩვეულებრივი სანახაობისათვის.

ინჟენერ ჩუბინიძეს მშენებლობის პატარა მშენებლობა მტანსაცმელზე ვინვე ვაიგეს დეპეშებით ეს ამბავი. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. უნდა მომზადებულიყვნენ შესანვედრად. დეპეშებს კი მოჰქონდა მეტად სამწუხარო ამბავი: თუ ხალხის ეს ნიაღვარი ორი დღე გაგრძელდებოდა, ფოთში თავს მოიყრიდა ხუთასი ათასი კაცი, რომლებიც მოედნებზე და ფოთის მშრალ ადგილებზე არამც თუ დამსხდარნი, ზეზე მდგომიც ვერ დაეტეოდნენ.

ქალაქის აღმასკომი ორი დღე სხდომებს სხდომებზე იწვევდა. აგზავნიდა რადიოგრამებს, დეპეშებს, შოტორიან ნაგებს შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში, რომ ქალაქისათვის მოეწოდებიათ იმდენი სურსათ-სანოვავე, რამდენიც შესაძლებელი იყო. ქალაქის თითქმის ყველა დახურული ფურნე და ქართული საცხოვრები ამუშავეს და ურიგებდნენ ფქვილს.

მოვიდა რამოდენიმე გემი და მოიყვანა საკლავი საქონელი. ქალაქის აღმასკომი მიანიშნებდა, ნამეტნავად აწუხებდა ბნის საკითხი.

სიმართლე სჯობია ითქვას — არც ჩუბინიძე მოელოდა ასეთ ამბებს. და ამიტომაც ის წარბგაუხრელი დარბოდა და ექვსასი ინჟენერი, რომელნიც იმ დღეს მას ხელთ ჰყავდა, უნდოდა გამოეყენებინა, ხვალ სადამოსათვის ამოდნენ ხალხისათვის უნდა ჰქონოდა მოედანი, რადაც გინდა და მჯდარიყო ეს ამბავი. ყველაფერზე უფრო ძნელი დასაძლევია იმ წუთს მუშა-ხელი იყო. მას შეეძლო თითო ინჟინერისათვის მიეცა არა ნაკლებ ასი კაციცა, თუ კაპარტინას პირის 9000 ჰექტარიანი ქაობის დაშრობის პროექტს ერთს საათში შეადგენდა.


აქ ვერსად ნახავდით აბრამოვიჩს, რომელიც ასეთ მომენტში ყოველთვის, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, დაიკარგებოდა ხოლმე. არც ჩუბინიძე გეტყვოდათ სად იყო აბრამოვიჩი — მას მხოლოდ ერთხელ გაუბედა ვილაცამ და იმასზედაც კრიჟანგად უბასუბა:

— თავისი საქმე აქვს. არ გასულა რამოდენიმე საათი, რომ აბრამოვიჩი მოვარდა რაზემბად დაწყობილ ინჟენერებთან. მან მოიტანა ქალაქის გროვა, მხოლოდ ერთი გადასცა ჩუბინიძეს. აბრამოვიჩი კმაყოფილი უყურებდა დარაზმულეს და ელოდა რადაც სასიხარულო ამბავს, რაც არ გაუმართლდა. ჩუბინიძემ ნახავებში ფანქრით სამი შეხინენა გააკეთა. აბრამოვიჩი აპირებდა გაახლებას, მაგრამ არა გამოვიდა რა. ჩუბინიძე მართალი იყო: ნახავებში მართლაც შეცდომა იყო სიჩქარით, რა არა უცოდინარობით.



დამკვრელი ქალები მუშაობენ





ტრაქტორების შეკეთება

სამუშაოზე გასვლამდე კიდევ სულ ათიოდე წუთი იყო და შესწორება ექსპერტისასთან ერთად უნდა გათავებულყო შვიდ წუთში, აქედან წუთი და ოცდაათი წამი — ჩამორიგება ნახაზებისა, სხვა კიდევ — რაზმელებს სამუშაოზე დარიგება, და გამოიღვინა კიდევაც ათი წუთი. ეს მაქსიმალური დრო იყო. ინჟინრები უკვე გულმოსულები იყვნენ. აბრამოვიჩი იგვიანებდა სამი წუთით. როგორც იყო, გამოჩნდა. ის ისე მოხტოდა, როგორც ძაფზე მობმული გორგალი. მთავარი და ილღიაში ამოღებული ნახაზები დაურიგა ექსპას ინჟინერს, ტენიკურ ხელმძღვანელებს. მათ შეეძლოთ ეხლა დამშვიდებით ყოფილიყვნენ, მაგრამ აბრამოვიჩი არამც თუ სხვას, თავის ორ თვალსაც არ უჯერებდა ხოლმე, თუ რაფის ყოველ კუთხეს, გაზომილს, თავის ვებერთელა უბის წიგნაკში მიკროსკოპით დასანახი ასოებით არ ჩაინიშნავდა. ამიტომაც იყო, რომ ვილაც ხუმარამ თუ მტერმა, მასზე ლაპარაკი დაიწყა.

— პირდალია!

აბრამოვიჩს ეს ძალიან არა სწყენია. მას, პირიქით გაეხარა კიდევაც. წინ იდღი სამუშაო იყო შესასრულებელი და სრულიადაც არ იყო აქ გამოსაჩენი ის ხასიათი, რომელიც მას მოეპოვებოდა ხონელ ქალთან. აბრამოვიჩს ის უყვარდა, თუ როგორღაც იყო, თვითონაც ვერ გაეგო. ისე კი არა სოცდეს არ ავიწყლებოდა მალალი ტანის ქალი, ხონურად ერთბაშათ დახურულ შავ ტანსაცმელში გამოწყობილი, შავი წინთიბით, ლაკის ტუფლებით, მუდამ მომღიმარი იშვიათი თეთრი სახით და წავივით შავი თვალწარბით. აბრამოვიჩს ერთი რამე სწყი-

ნდა მხოლოდ. ის იყო მეტად ახალგაზრდა, სულ 29 წლის, და სიმსუქნე სჭარბობდა. თუ თქვენ მას სიმსუქნის შესახებ დაუწყებდით ლაპარაკს, რასაკვირველია, არამეგობრული კილოთი, თქვენ გახდებოდით მისი საშინელი მტერი, აბრამოვიჩი ამას; იქვების დავროვების წუთში, როდესაც ის საკვირველად ბრახდებოდა სახლში, ხონელ ქალსაც არ მოუთმენდა.

და, აი, იღეს აბრამოვიჩი ჰმაყოფილი იყო მიღობული სახელწოდებით და კიდევაც უნდა გაენაღებია. ფოთში ხვალ საღამომდე მოიყრიდა თავს ხუთასი ათასი კაცი და ფოთი მათ უნდა დახვედროდა ინდუსტრიალურად და, შესაძლებელი იყო, მეტად ორიგინალურად. ნახაზები, რომელიც იმ ერთს თუ ორს საათში დაამზადა აბრამოვიჩმა, იყო 9000 პექტარი ჰაობის ერთი იდღისა და ღამის განმავლობაში ამოშრობის გეგმა; ეს სივრცე მათ კიდევაც უნდა შემოელობათ ლამდით, დაეხურათ ბრეხენტებით და მიეღოთ შიგ ფოთში მომავალი ამდენი ხალხი. ეს მოედანი ისე უნდა ყოფილიყო მოწყობილი, რომ რამდენიმე ათეული და ასეული მიტინგი ერთად უნდა დატეულიყო იქ, სასულე ორკესტრებით, ტრიბუნებით და ბუფეტებით.

რეიდზე მოაყვინრა ხუთმა საბუქსი-ორ გემმა. ისინი მოათრევდენ საზოპავ მანქანებს კაპარტინაზე სამუშაოდ. მანქანები გადმოისროლეს დონიდან და დნებროსტროიდან კაპარტინას გასაწყმენდად. ექვსი ათასი კაცი სრულიად საქმარისი იყო, თუ მანქანები გამოდგებოდენ სამუშაოდ. ჩუბინძე, წარბაგუზრელი სამუშაო ტანის კაცი და რაღაც დამაჯერებლობით გადა-

ტვირთული (დამიანი, რაზმებს არიგებდა მდინარის პირას, ჰაობის ცენტრში. თუმცა ჰაობი ადგილადგო საფლობებით იყო სავსე, არავითარ სამიშროებას არ წარმოადგენდა. ბლომად იყო ჩაყრილი კატარღები, რაზმედაც მუშები იდგენ, და თუ ვინმეს მოუხდებოდა ფეხით საფლობში ჩადგომა, მათთვის გამოგონილი იყო განსაკუთრებული თუნუქის ბოყვები, მუშებს ბოყვებში ფეხი ედგათ, და დაძირვა არ შეიძლებოდა. ჩუბინძეს არაფერი არ დაევიწყებოდა. ჰაობი წინასწარ იყო მოწყობილი ოცდაათი ცისტერნა მაზუთით და შამბებში ბლომად იყო ჩაყრილი გოგირდის ფენილი, რაც ჰაობის გველებისა და კოლოებისგან იცავდა მუშებს. თითქმის ყოველი მუშა გაჩხრიკეს, რომ წყლის დასალევი ჭურჭელი არ ჰქონოდათ. თუ ვინმეს მოწყურებოდა მათთვის ახლადგამოგონილი ქარის დენით ვაცივებული, სოდით გამყავებული ხარაგაულის წყალი იდგა რამდენიმე რისტერნი და განსაკუთრებულად ამისათვის დანიშნულ ორას კაცს უნდა მიეწოდებოდა მუშებისათვის ლიმონათის ბოთლი, თანაც ასეგრამიანი პურის ნაჭერი და ასი გრამი ლორის ქონი. ამ პირობებში ჰქონდა მუშას ნება დაეღია რამე და შეეჭამა, რამდენიც მას უნდოდა და რამდენსაც აიტანდა. გაჯიუტებული მუშა იჯგებოდა, როგორც დეზერტირი. მუშებმა თვით გამოიტანეს ეს დადგენილება. დამრღვევს აღმინისტრაციას იმდენად არ ეშინოდა, რამდენადც მუშების თვითგასამართლებს. ჰაობზე გრძლად ყოველ კუთხიდან ჩასობილი იყო დროებითი სვეტები და მონტიორთა რამდენიმე ათეულ ბრიგადას გაჰყავდა მავთულები ელნათურებისათვის. აბჰესიდან ამისათვის იყო გამოყვანილი კაბელი, რომელიც თამამად ჰყოფნიდა როგორც განათებას, აგრეთვე სასრუტავი მანქანების მუშაობას.

ცოტა საქმეს აჭირვებდა ვილაც სტუდენტის გამოგონებული ელექტროამორთქლი მოწყობილობა, რომელიც სასწაულს მოახდენდა მთელი მოედნის ერთს საათში გაშრობისათვის ღვარების გადატების შემდეგ. მაგრამ მაშინ სასრუტავები და საზოპავები უკვე თავისუფალი იქნებოდენ და კაბელს მხოლოდ შრომასზე მოუხდებოდა ჩქერის მიმართვა.

ინჟინრების ერთი ჯგუფი სწავლობდა ამ მოწყობილობას. ეშმაკმა აბრამოვიჩმა მოწყობილობა ერთს საათში გადამწყალა, თუმცა გაუჭირდა გაგება. რასაც ის ადვილად მოეყოლა, რაკი მთელი ალგებრა ნახევარ საათში გადაიმეორა და გამოიკვია, რომ ბეზუს კანონიდან უკანასკნელ შედეგში დაევიწყებოდა უარყოფითი ნიშნის თავის ადგილზე ყოფნა. ეს უნძიშენილო ამბავი კინაღამ საბედისწერო გა-



ხდა თავის გულში არაჩვეულებრივად მზიარული და კმაყოფილი აბრამოვიჩისათვის. მან რამდენჯერმე მოუჭირა ხელი ჯიბეში ბრაუნინგს და ის იყო საფეთქელთან მიიღო, რომ ეს ეშმაკის ფრჩხილი, გულთბილი და მშვენიერი ხონელი ქალი გამოჩნდა. ხონელი ქალი იცნობდა თავის ქმარს. იცოდა მისი მარტის ამინდივით ხასიათის ცვალებადობა და თავანწირვაც, ამიტომაც, სადაც იყო და არ იყო, კრიტიკულ მომენტში გაჩნდებოდა, და საკმარისი იყო აბრამოვიჩს ერთი შეეხებდა ცოლისათვის, რომ დაბრუნდებოდა თარღებში ძალა. მან კარგად არ იცოდა — უყვარდა თუ არა ეს ქალი, მაგრამ რამდენადაც ასეთი ფაქტები მიორდებოდა და ქალი იქ გაჩნდებოდა, იმდენად უფრო მეტ ბავშვურ მინირობას გრძნობდა აბრამოვიჩი ცოლისადმი და უმისოდ ვედარ სძლებდა.

ცოლს კი ძალიან არ უყვარდა ბავყების კონკრეტი და უმიტრესად მიიპარებოდა ხოლომე იმერეთში დიდასთან, და ან კიდევ ბანმაროზე, და შექცეოდა შემწვარ სოფოქონებს.

მნახვილების პირველი მატარებელი ფოთში ჯერ არ იყო ჩამოსული, რომ შესახვედრი მოედნის ამოშრობა უკვე დაწყებული იყო და ადამიანები თითქმის ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე ირეოდენ ვებერთელა ქაობის სხვადასხვა ადგილას. ეს მოძრავი ადამიანები ჰგავდნენ რამდენიმე ათასეული ფუტყრის ნაყარს, აქ არსად ჩანდა ჩუბინიძე. მხოლოდ აბრამოვიჩი რამდენიმე თითქოს ადიუდანტი ინჟინრით დაჰქროდნენ ხან ერთ ჯგუფთან და ხან მეორესთან პირად მუშაობის საქმეების გასასინჯავად. სადგურში მოსრილდა პირველი მატარებელი. მოსულები ჯერ ხედავდნენ მხოლოდ სადგურს და ფოთის დიდ მაცივარს. იქით კი, სადაც წინად ფოთში ნამყოფებს ცალიერი ადგილი ეგულებოდათ, ერთი ფეხის დაგმაც აღარ იყო თავისუფალი. იქ ეყარა ხეტყის მასალა, რამდენიმე ჰექტარზე ოცდაათი მეტრის სიმაღლეზე დაწყობილი. იქვე, მის გვერდით, აღმართული იყო მთელი მთები მრგვალი სხეულები, რომლებიც ისე მშვენიერად იყო გადახურული ბრუნენტებით, რომ ერთი კვარი წყალი არ ჩაუვიდოდა. ეს იყო ათი მილიონი კასრი თაუზის და კასპის ცემენტი, აღმშენებლობისათვის მომარაგებული. მას მიჰყვებოდა ბუმბერაზი რკინის საწყობები მილიონი ტონა რკინაფოლადით. ამ საწყობს ჩუბინიძე მუდამ ეჭვით უყურებდა, მაგრამ უნდა დათანხმებულიყო, რადგანაც რუსეთის მეტალურგიული ქარხნები ჯერ მეტს ვერ ასწრობდნენ და ხელად მეტი არ აღმოაჩნდათ. მაგნეტოგორსკში კი ჯერ მხოლოდ ოთხი დონა

მუშაობდა და ძლიერ აუღიროდა რკინის დეფიციტს. ჩუბინიძე ძალაუბრებურად დაეთანხმა შეკვეთების პერიოდულად მიწოდებაზე, თუმცა ამისათვის მან მოითხოვა ამერიკელი ინჟინერის კუბერის გარანტია, რადგან რუსეთის ქარხნებმა ხანდახან იცოდნენ პროდუქციის სხვა მხარეზე გადაგზავნა და შესაძლებელი იყო გვეგმების ჩაშლა და მუშაობის შეთორხება. ეს კაცი არ დასჯერდა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებასაც კი, და თუმცა დიდი ეკონომისტები და პოლიტიკოსები, შრომის და თავდაცვის საბჭოს სიტყვის ნამდვილი პატრიოტები, შეურაცხყოფილად სთვლიდნენ თავს, მაინც დაეთანხმნენ, რადგან იცოდნენ, რომ კეთდებოდა ისეთი საქმე, რითაც მთელი საკავშირო პროლეტარიატი იყო დაინტერესებული და თანაც იცოდნენ, რომ ჩუბინიძეს „თუ“ ეჯავრებოდა.

აბრამოვიჩის დაყოლიება ან შეშინება მაინც შეიძლებოდა. ერთხელ კინალამ „ჩაათოჟა“ (ეს ტერმინი მუშებისა) საქმეში: კინალამ დაეთანხმა კერჩის მეტალურგიულ ქარხანას ფოლადის შეკვეთების პერიოდულად მიწოდებაში. ეს იქნებოდა უდიდესი სკანდალი და გამოიწვევდა საქმის ერთი ან ორი თვით შეჩერებას. ახლა კი აბრამოვიჩი თვით იყო კმაყოფილი, რომ შეცდომა არ მოუვიდა. არა ერთხელ ულაპარაკნია მას ამ საგანზე ჩუბინიძესთან და არა ერთხელ

უთქვამს საყვედური ეკონომისტ ნაზაროვისათვის. ნაზაროვს უყვარდა აზრის ოფიციალურად გაშრობა და არავითარი მეგობრულ სარგებლობა სწამდა. აბრამოვიჩს არ უტრია წინასწარ შინაურ საუბარში და საქმე სი-რცხვილამდე მივიდა.

კაპარჭინას პირას გაცხოველებული ბრძოლა დაიწყო. მოედანი განათებული იყო ოთხი ათას, ხუთი ათას სანთლიანი ელექტროლამპით. ორი ათასი კაცი სჭრიდა რაფს, მათთანვე მუშაობდა ტალახის მთხრელი ხუთასი სი მანქანა, ხუთასი სასრუტავი საქაჩავით. მათ უკან მისდევდა რკინატინობის მომამზადებელი და ამომგები ხუთასი კაცი. ყოველ ას კაცზე ერთი ინჟინერი და ორმოცდაათ კაცს საშუალო კვალიფიკაციის ტენიკოსი ახლდა. ირგვლივ რაფზე მუშაობდა ათი ასეთი რაზმი თავისი მანქანებით და იარაღებით, დანარჩენი ოცდაათი ათასი კაცი მუშაობდა შუა რაფზე. ვა მოჰყავდათ ტრემსტურები, რკინისგზის საჩქარო ჩიხები. 60 ათასი კაცის არმია წუთებით ნთქავდა ათასობით კასრ ცემენტს, მილიონ კუბიკორ გოჯ ხეტყის მასალას და ასიათას ტონა რკინა-ფოლადის ხლართებს. დამატებითი 10 ათასი კაცი, რომელიც რაჭიდან ჩამოვიდა, ოცი ინჟინრის ხელმძღვანელობით აგებდა სვეტებს მეტროპოლიტებს; რაფის შიგნითა პირის გასწვრივ და ირგვლივ ასეული დურგლები ბოძიდან



ბავშვთა კოლექტივის მუშაობა სკოლის ბაღში



ბოძზე აკრავდენ ფიცრებს. მასალის მოტანას ასწრებდა 150 ხემზიდავი ავტომობილი და ორასი ურემი. ტრანსპორტი ვერასგზით ვერ აუღიოდა საწყობიდან მათ მოზოდვას. განსაკუთრებული საბარგო ავტომობი ეზიდებოდენ ლუქრსმანს სხვადასხვა ზომისას, მაგრამ მუშაობას ბოლო არ უჩანდა და გაბრუნებულ ტრანსპორტს ყალყზე ამდგარი მუშები და ინჟინრები ლანძღვით და გინებით აბრუნებდენ, რომ როგორმე მოფერებს და მჭვირთავენს ხელი უფრო ჩქარა გაენძირათ და მასალები მიეწოდებიათ. მუშაობა წარმოებდა ათ-ათ რაზმად. განსაზღვრულ მომენტში ისინი უნდა შეხვედროდენ ერთიმეორეს და არაფის წუთის დაგვიანება და შეჩერება არ შეეძლო, რომ მუშაობა თავის დროზე შესრულებულიყო. ჯგუფი ჯგუფის საგინებელი არ გამხდარიყო. 9000 ჰექტარის ამოშრობა უნდა დამთავრებულიყო ათი ივლისის დღის ხუთ საათზე, და ერთი საათი მოუნდებოდენ ნიადაგის ავტომატიურ ვაშრობას სტუდენტის ხერხით, რამაც აბრამოვიჩს კინაღამ თავი მოაკვლევინა და ახლა კი მას ეს მანქანა ისე უყვარდა, რომ მასზე დიდ იმედებს ამყარებდა.

ასე ვასინჯეთ, მან წამოაყენა ახალი კონსტრუქციის პროექტი, რომელიც ადვილი გამოსაყენებელი იქნებოდა ნაგვიანები თოვლის გასაღწობა და ერთი ავტონომი კი კინაღამ სახარულით ქუჩაზე შეიშალა. მანქანა ადვილი გამოსაყენებელი იქნებოდა ხეხილის და ვენახების ყვავილის მოწვისაგან დასაცავად. მისი უმცირესი გამოანგარიშებით, ყოველ წელს საჩელმწიფო ზარალი ასი მილიონი მანეთით ნაკლები იქნებოდა, რაც ჭაობის ამოშრობის ფასს უდრიდა და ამორტიზაცია მანქანის ერთ წელში მასპირი ხმარება თამამად აუღებოდა. მუშაობდა სამოციანთასიანი არმი. შეისვენებდენ ხანდახან და იპიკ იპიტომ, რომ რამდენიმე ასეული კაცი ღორის ქონ დაღებულ ვებერთებლო პურს ჩასწრიდა ყოველ მუშას თუ ინჟინერს ხელში. უნდა შეეჭამა და დაეღლია ნახევარჩარეჭიანი ბორჯომის წყალი. სხვა მიზეზისათვის გაჩერება არ იქნებოდა, და თუ მოხდებოდა — დანაშავეს იქვე უნდა მოეკლა თავი, ს.წამ მის ქოლფაში ვინმე გაერეოდა და მას მოჰკლავდენ. სამუშაო უნდა გათავებულიყო ათი ივლისის 8 საათისათვის. მთლიანად და ამ ახორბულ ცირკში (როგორც მას მუშებმა თაარქვეს) უნდა მიეღოთ 500.000 კაცი. ფოთში სახეიმოთ ჩამოსულა. ჩუბინიძეს უნდოდა აგრეთვე იჩვენებინა, თუ რა არის ხაბჭოთა ტემპი და რამდენად უძლურია კოლხიდის ჭაობი ადამიანის შეტევასთან. ამისათვის მას ესაჭიროებოდა დისციპლიანა და მუშაობის ორგანიზაცია, რომ კაცობ-



■ ბიონერები ექსპურსიაზე ■

რობის წინაშე მოეხდინა დემონსტრაცია პირველი საბჭოთა ტემპისა, თუ გინდ ეს ყოფილიყო სისხლის ფასად. მაგრამ არაფითარ შემთხვევაში სისხლი არ დაიღვრებოდა, რადგან დისკიპლინა მოდიოდა თვით მუშათა რაზმებიდან, და ინჟინრები ვაკვირვებულს იყვნენ, რომ ამ ჩეხაში ერთი გეშჩნევის მიცემა ვერ მოახერხეს, ვარდა ორიოდ მეტაბელისა, რომლებმაც საათებში „ჩახაჭაპურეს“ და იქვე ვაუჯეს და ჩასვეს ტალახში სამარჯებინოდ და გამოაცხადეს შფრინავ შავ დაფაზე. მათ იცნობდენ ყველა რაზმში, როგორც ქურდებს.

ფოთის სადგურში კი მოვიდა პირველი ნატარებელი, ხალხით საზღაპროდ ავსილი. ქალაქმა ვერ იყრძნო პირველი პარტიის ჩამოსვლა. ისინი ჩაემატენ მუშებს. მეორე მატარებელზე ქალაქში შევედლოთ ჩამოსულებს თითოთ ჩვენება. მესამე მატარებელმა გააჩინა ჯგუფები, მეოთხემ — ასეულები, მეხუთემ — მიტინგების ოდენა გროვები. უკვე დილის 9 საათზე ქალაქში სიფიწროვე შეიქნა. დაიკიდა ყველაფერი, თუ რამე იყო შესაქმეული და დასალევი. რაიონში შემოვიდა გამომცხვარი პური, კონსერვებით, ძეხვებით, ხლით და წყლით დატვირთული ბარჯების და ნაგების ქარავანი. ხალხს კი არ უძლიებდა არაფერი. დაინიშნა ექსპრესი გემები სხვადასხვა ქალაქებიდან, და რამდენიმე საათში ცოტა მინელდა გასაჭირი. ქალაქის მთელი ადმინისტრაცია და სხვა ორგანოები ფეხზე იდგენ, მოვიდენ კიდევ დამატებითი მატარებლები და მთავრობის განსაკუთრებული დანიშნულების ექსპრესი. ოთხმა გემმა გადმოსხა კიდევ ოცდაათი ათასი მუშა, ზღვის სანაპიროებიდან ჭაობზე სამუშაოდ გამოსული. სანოვავე მანც ვერ უძლიებდა. ახლო-მხლო გლეხები ვაკეთოდენ. ცრთ ბილოკში

მათ ხელი არ უკანკალებდათ. ისე ილებდენ მხანეთიანას, ერთ სულელებში — ოცდაათ მანეთს. დამშრობი არმია მუშაობდა დალადად და ყოველგვარი შრომის ნორმის გადაჭარბებით. ყოველ მუშას უნდოდა თავის აღმშენებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში ჩაეწერა ეს თავჩეხა, შრომა და საშინელ, ყველაზე მეტ სასჯელად გადაიქცა, თუ ვინმეს ისეთი უბედურება ხვდებოდა, რომ ათი ივლისის ხუთ საათამდე ააშვებინებდენ სამუშაოზე. თუგინდ ცხელ ახაზანაში ვაკურილი არტერია ჰქონდა ჩადებული და ყოველ წამს სიკვდილი თვალწინ დგომოდა. მუშაობდენ საუხმის მომტანები, ოპერატორები, დამხმარე სანიტრები და ექიმები, ფოტოგრაფები და ჟურნალისტები, ჩუბინიძე და აბრამოვიჩი ისხდენ შტაბში და ისმენდენ განსაკუთრებული ტელეფონებით კითხვებს. ორივენი აძლედენ განმარტებას ნახაზების შესახებ ზედა და ქვედა შემხვიდრ არმიებს, აძლედენ საადმინისტრაციო და სადისციპლინო დავალებებს, რჩევებს, ხან ისმოდა გინება, ყოველგვარ უწმარურობას გადაჭარბებული. ორი საათი იყო. ჩუბინიძის გამოანგარიშებით, ამ საათისათვის განსაზღვრული სამუშაო ოთხ საათზე უნდა ყოფილიყო მშად. ამ დიდ სასიხარულო ამბავს ის რადიოგადამცემით ატყობინებდა მუშებს და ინჟინრებს და უმატებდა სიტყვებს ულოცავდა გამარჯვებას, მიღწიას. სამისათვის რაფები უკვე გათავებული იყო, იწრიტებოდა ნელნელა ნიადაგი, მუშაობდა ავტოსაგვალავი მანქანები, დათავდა ვებერთელა კედლები. ადგილ-ადგილ იხურობოდა მოცდენები ოთხას კვადრატულ მეტრიანი ბრევენტით, იკიდებოდა ახალი ხუთიათასანთლიანი ელნათურები, იწყობოდა ბუფეტები, რადიოს ძრავები, კიოსკები, დაიდგა 400 ეკრანი და ნაჩქარევად ჩამოსაჯდომი გრძელი სკამები, რაფებზე გადაიდო ნაჩქარევი ხიდებად ხეები. ათი ივლისი იყო ცხელი დღე, აჭურდა მზე, ქროდა ხმელეთის ქარი და ერთიათასად ჩქარა ხდებოდა ამოშრობა.


**ბორის ჩხიძე.**

(გაგრძელება იქნება).



■ ანატომის გაკვეთილი ■





ღამკვრელი ორთქლმავალი

— დედა, ალბათ გეზინია, რომ მზეი არ მოგეციდოს, თვარა რაღა გაქვს სახეზე მაი რაცხა აფარებულა? უთხრა, გულუბრყვილოდ, პატარა ბიჭმა, ჩაის კრეფაში რომ შევლოდა, და პატარა ფუნჩულა ხელები კისერზე შემოხვია.

— ა? ჰმ! ეს... ისე— დაიბნა ჰელიმე შვილის მოულოდნელი კითხვით, თითქოს შეერთა, პირბადის ქვეშიდაშ თვალები ირგვლივ მიმოავლო და, რა ახლოს ვერავინ შეამჩნია, ზიას გაულიმა, მკერდზე მიიკრა.

— კი, მარა, რატო სიმონას დედას არ აფარია, ან თამრიკოს ბიცოლას? ეგერ! არ იშლიდა ბავში და ამ სიტყვებთან ერთად ხელი გორაკისაკენ გაიშვირა, სადაც ჩაის ჰკრეფდენ ქალები.

— სუ! რეიზა ატყდი? იგინი სხვებია და მე სხვაი...

— აბა ერთად რომ მუშაობთ? ისტე ქე ვართ ამხანაგები და...

— რა, იგინი შენზე ლამაზებია და თეთრი თუ?

— კაი, ნუ გადამეკიდე, შე ცელქო! იგინი გურულებია, მე აჭარელი...

— აბა, ძია ზექერია რატო ამბობს ხოლსე კლუბში, ყველაი ერთნი ვართო?

— კი, მარა ასეთია ჩვენი ადათი.

— რაია ადათი?!

— ჰმ!

— შვილის სიტყვებმა ჰელიმეს ფიქრები აუტეხა.

— ა?

— რად?

თითქოს ესლა ისმოდა...

ბ

— აუ! და მართლაც რად?!— აღმოჩნდა დურსუნს, რა ფაბრიკიდან ბრუნდებოდა, სადაც ჩაი ჩააბარა, ცოლზე შვილის საუბარს ყური რომ მოჰკრა.

შედეგა ქოლგად შლილ პალმის ქვეშ, რომელსაც ზღვით მონაბერი სიოს საამო სისინი უბერტყდა ყურებს...

გოდორი ძირს დააოწვა, დაჯდა.

პატარა მიდინარის შესილოში ამრიბულულ ფოთოლთა რხევა... პაუზა...

არეს ახმაურებდა პლანტაციის მუშათა სიცოცხლით აღსავსე სიმღერა, მაგრამ აკლდა დურსუნის კრიმანჭული...

— რად?

— აბა რა ვიცი...

ის თითქოს ველარ გრძნობს, თუ ზღვის უბნიდან ახლახანს ცეცხლის ბურთად თვით ამოგორდა მზე, ლურჯ კამარაზე ელნათურით რომ...

გორ გადმოეკიდა და გადმოყარა ყვეთელი აბოეშუმის ნაწნავები.

— მამა, აქ რატო ხარ.

— მამა, აქ რატო ხარ?

— ა? შენა, ზია?! — დურსუნე შეიშუმუნა ამ დახმარებაზე, წამოდგა.

მის წინ აატარა აჭარელი იდგა წითელ ბამლიყ წაჭრული, კონტა ჩაქურაში.

— დედა იქნე სწუხს, რეიზა დაიგვიანეო, ფაბრიკაში მოგზობდი... წამო ჩქარა! — ხელი დაუჭირა ზიამ მამას, გასწია. — ო, კაი! მოსწყდა დურსუნს ღიმილოში, თავზე ხელი გადაუსვა ალერსით და გაჰყვა.

ბ

— რეიზა ქენი? რას იტყვიან?! — გაყვირებთ შეეკითხა ჰელიმე ქმარს, რა ის მოვიდა და ჩამოხადა პირბადე.

— ვისაც რაი უნდა, იგი თქვას! აწი აღარ გაბედო აფარება! კმარა! მიუფო დურსუნმა, ხელები დაუჭირა, გაულიმა.

— დურსუნ! აღმოხედა ჰელიმეს სიანიით და თავი მკერდზე მიაყრდნო.

— ა? ასეთ არ სჯობს?! — დაატანა ზიამ და შუაში ჩაუდგა, ორივეს ხელი გადახვია.

— მაი ჭო, კია შენი უნარი, — თთხრა მამამ და ხელში აიტაცა სიხარულით.

— შენი ქირიმე! — დაატანა ჰელიმემ ნეტარებით.

ერთმანეთს ეცილებიან ზიას სიყვარულში...

— კია დროი, ჰელიმე, ავი ბაღანე მივეცეთ სკოლაში, ა? რას იტყვი?

— პაწია როა?

აჰ, ჯობია... ხომ გინდა, ზია?

— აბა, შეილო...

— კი მინდა, რავა არ მინდა... ჩემი ტოლები სულ იქაა: ასლანის მამედა, ხატიჯეს ნინა, ნესტორის შალიკო, ბიცოლას თამარა, დეიდას სიმონა, პასანას შერიფა და მე რატო არა? ისინი მცინიან ხოლმე, რომეო ჩვენ ოქტომბრელები ვართო, პიონერებიო და შენ ჯერ არაო.

სიხარულმა იფეთქა... ახალი იმედების ჩირაღდანი აეშთო...

დ

— ო, სიამე!

რომელს აღმოხდა? ალბათ ყველას...

და ჩაქვა, ახალი ცვილონი, ილიზოდა, როგორც საბჭოთა მამული...

მის ამონაბურც კორდებზე აქოჩრილ ჩაის ზუჩქებს ეცლებოდა ფოთოლი, რათა ახალ ფაბრიკის მანქანათა ქმენაში გადამუშავებით ქარავენებად გაბმოდა მსოფლიოს ყოველ კუთხეს...

დასატვირთად მზად მყოფნი გემები თეთრი გედებით გამწკრივებულიყვენ შავი ზღვის ლურჯ ტალღებზე, რომელიც ზვირთთა მარამას ესროდა სანაპიროებს...

გველებით გაწოლილ ლიანდაგზე ქუდმოგლეჯილ გიყივით მიქროდა ორთქლმავალი, რომელიც მიათრევდა ჩაით უბედატენილ რომოდებს.

— ზია?

— ის, როგორც აჭარისტანის სოციალისტური შენების პატარა ენტუზიასტი, შევებით გასცქერს მომავალს...



# ამუნდსენი ცოცხალია?

ამერიკელ მკვლევარის ა. ფიალას დავაზა „ინტურისტს“

მიმდინარე წლის ივლისის შუა რიცხვებში არქტიკაში მიდის საბჭოთა ყინულისმჭრელი „მალიგინი“, რომელსაც თან მიჰყავს უცხოელი ტურისტები. ცნობა „მალიგინი“-ს ლაშქრობის შესახებ მეტად პოპულიარული გახდა ევროპასა და ამერიკაში. „მალიგინი“ მივა კრონპრინც რუდოლფის არხიპელაგის ყველაზე ჩრდილოეთ წერტილამდე, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ გავის 82 გრადუსამდე.

„მალიგინი“-ს რეიდის შესახებ გაიგო ცნობილმა მკვლევარმა ანტონ ფიალამაც. ფიალამ დაუყოვნებლივ წერილით მიმართა „ინტურისტის“ წარმომადგენლობას ამერიკაში, რომელშიაც სთხოვს „მალიგინი“-ის შესახებ ინფორმაციას დაწვრილებით გამოიკვლიოს რუდოლფის არხიპელაგი, რომელზედაც, მისი აზრით, იმყოფება როალდ ამუნდსენი.

ანტონ ფიალა 1903 წლიდან 1905 წლამდე მეთაურობდა ციგლერის ექსპედიციის ფრანც-იოსების მიწაზე, 1903 წელს ფიალამ გემ „ამერიკა“-თი მოახდინა ლაშქრობა ნორვეგიიდან ფრანც-იოსების მიწაზე არხანგელსკზე გავლით. ამ ექსპედიციამ, რომელიც დიდძალი მასალებით დაბრუნდა არქტიკიდან, ავარია განიცადა რუდოლფის არხიპელაგთან. ექსპედიციამ ზამთარი კუნძულზე გაატარა. „ამერიკამ“ ვერ გაუძლო მუდმივ ქარიშხალს და დაიღუპა. ექსპედიცია იძულებული შეიქნა გადასახლებულიყო კუნძულზე. ექსპედიცია მოთავსდა ზღვის პირას. ფიცრის სახლში, რომელიც (დაშლილი) ჩამოიტანილი იქნა ნორვეგიიდან. ორი წლის შემდეგ ექსპედიცია დაბრუნდა ყინულებიდან დამხმარე გემით.

ნიუ-ორკიდან „ინტურისტის“ წარმომადგენლობისაგან მიღებულია დებეზა, რომელშიაც მოთხრობილია ა. ფიალას წერილის შინაარსი. მოგვყავს წერილის სრული ტექსტი.

„გამოსათხოვარ ნადიმზე, რომელიც გაიმართა ნიუ-ორკში ამუნდსენის პატივსაცემად, მე უამბე მას ჩემი ავარიის შესახებ რუდოლფის კუნძულზე 1903 წელს და იმის შესახებ, თუ როგორ გადავიტანეთ ჩვენ მთელი ჩვენი მოძრავი ქონება ნაპირზე, ავადეთ სახლი ელექტრონის განათებით და მოვაწყვეთ ორთქლის ქვაბი. მაღალ ადგილზე, თოვლის ზონის გარეთ, ავადეთ აგრეთვე ასტრონომიული ობსერვატორია, სათადარიგო ნაწილებით.

ამუნდსენი მეტად დაინტერესდა ამით და მეკითხებოდა მე განსაკუთრებით სურსათ - სანოვავის შესახებ, რომელიც ჩვენ იქ გვქონდა, იარაღისა და ბინის შესახებ. ექვს გარეშეა, ამუნდსენმა ნობილეს ჯგუფის ძებნის დროს სწორედ ეს მიმართულება აიღო, დარწმუნებული იმაში, რომ თუ მის ჰაერობლანს რაიმე შემთხვევოდ, მას ექნებოდა მარაგი, რომლითაც ის შესძლებდა მუშაობას.

თუ ამუნდსენი და მისი ჯგუფი არ მოკლეს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი დღესაც ცხვოვრობენ ესკიმოსებზე რუდოლფის კუნძულზე.

ორივე — მაიორი ალფრედ ბირძოლი პასადენიდან (კალიფორნია) და საფრანგეთის ფლოტის კაპიტანი, „ლატამ“-ის მთავარი პოლოტი ალბერტ დე-კიუვეროლი დარწმუნებული არიან, რომ ამუნდსენი ცოცხალია“.


ნიუ-იორკიდან მოსკოვში გამოგზავნილია ა. ფიალას წერილის დედანი და მაიორ ალფრედ ბირძოლის და კაპიტან ალბერტ დეკიუვეროლის განცხადების ფოტოგრაფიული ასლი.

15 ივლისს „მალიგინი“-ი მიდის ჩრდილოეთის ყინულებში, ივლისის ბოლო რიცხვებში ის მიაღწევს რუდოლფის არხიპელაგს.

ამრიგად, საბჭოთა ყინულისმჭრელი კვლავ მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოხვდა.



პიონერი საზოგადოებრივ სამუშაოს გარდასახვაში ეხმარებიან თავიანთ მშობლებს და იღებენ პრაქტიკულ საქმიანობაში. სურათზე: პიონერი სადილს ამზადებს.



საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხის კულტურული ღონის აწევის საქმეში ქვეყნის რადიოფიკაცია უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სურათზე: პიონერი რადიოფიკაციის ფრონტზე.



სოფლის მეურნეობა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი დარგია, რომელიც უნდა უზრუნველვეყოთ სათანადო მანქანა-იარაღებით. სურათზე: მამობრავებელი მანქანა კოლმეურნეობისთვის.





პატარა მეგობრებო!

თქვენ ხედავთ, თუ როგორ იზრდება სოციალისტური მშენებლობა. თქვენ მოწმე ხართ იმისა, თუ როგორ თავდადებით იბრძვიან მშრომლები სოციალიზმისათვის.

თქვენ იცით, რომ კიდევ საჭიროა დაუღალავი შრომა და ბრძოლა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის... გამარჯვება კი აუცილებელია, ვინაიდან ამ ბრძოლას ხელმძღვანელობს ლენინის პარტია, კომუნისტური, რომელითაც შეუძლებელი არაფერია.

პარტიის გენერალური ხაზის დაცვა, ლენინის გზით სიარული მიგვიყვანს სრულ გამარჯვებამდე.

ამისათვის სატიკად უნდა შევებრძოლოთ ყველას, ვინც ნახტომებს აკეთებს ლენინის გზიდან, ვინც მეტად არ იცავს პარტიის გენერალურ ხაზს, ვინც ვერ ხედავს ამ დიდ მშენებლობას, ვინც შეგნებულად თუ შეუგნებლად აფერხებს სოციალიზმის მშენებლობის საქმეს.

ასეთი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლას თქვენ ახლავე უნდა შეეჩვიოთ, პატარა მეგობრებო, ვინაიდან თქვენ წარმოადგენთ ახალგაზრდა არმიას, რომელმაც შემდგომში უნდა შესცვალოს კომუნისტთა ლაშქარი.

— არცერთი საქმე პიონერ - ოქტომბრელების მონაწილეობის გარეშე! — აი ლოზუნგი, რომლის განსახორციელებლად უნდა იბრძოლოს თითოეულმა თქვენგანმა.

დიახ, პატარა მეგობრებო, თქვენ პარტიის ყოველგვარ საქმიანობაში უნდა მიიღოთ მხურვალე მონაწილეობა. ავიღოთ თუნდ ის დიდი საქმე, რომელიც ახლა კეთდება სოფლად, ეს არის სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა, რომელსაც მტერი ბლომად ჰყავს. კულაკ ყოფილ მემამულეებს და მათ დამკავებებს, რა თქმა უნდა, არ მოსწონთ ეს საქმე.

გლეხთა მასები მათ საპასუხოდ აღფრთოვანებული ილტვიან კოლმეურნეობებისაკენ; ისინი დღეს ასრულებენ პარტიის დირექტივას.

— არცერთი მტკაველი მიწა დაუმუშავებელი! — სიტყვა პარტიამ და გლეხობამ მართლაც პირნათლად შესრულა წელს ეს დავალება.

— მიაქციეთ მთავარი ყურადღება ტენიკური კულტურების თესვას, — დაავალა გლეხთა მასებს პარტიამ, და ისინიც ასრულებენ ამ საქმეს.

— ბრძოლა ბამბისათვის, — გაისმა პარტიის ხმა, რასაც ხანი მისცა კოლმეურნეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებმა.

— აბა გადახედეთ, პატარა მეგობრებო, ბორჩალოს და ყარაიაზის ველებს, ვაისიერნეთ ალაზნის ველზე — რამდენი ბამბაა დათესილი..

მაგრამ არ ქმარა ბამბის დათესვა, საჭიროა მისი დამუშავება, მოვლა-პატრონობა.

— არ — ერთი ძირი ბამბა დაუმუშავებელი! — აი, საითკენ არის დღეს მიპყრობილი პარტიისა და მთელი ჩვენი ყურადღება..

ბამბისათვის ბრძოლა თქვენც პირველ რიგში უნდა დააყენოთ, მეგობრებო; ბამბის ნათესების დამუშავებაში, მის მოვლა-პატრონობაში თქვენც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოთ.

თქვენც უნდა მოედვით ბამბის ყანებს, გვერდში უნდა ამოუდგეთ გლეხებს და მათთან ერთად იმუშაოთ.

— რით, როგორ? იკითხავს ზოგი თქვენთაგანი და ჩიენ ვიპასუხებით: ვისაც როგორ შეუძლია, ვის რა უფრო ეხერხება, ისე უნდა მიიღოს მონაწილეობა ბამბის დამუშავების საქმეში.

მაგალითად, ბევრ თქვენთაგანს, რომლებიც უფრო მოზრდილები ხართ, შეგიძლიათ ბამბის ნათესების მარგვლა, რაც სწორედ ახლა ხდება. ამისათვის უნდა შეადგინოთ ბრიგადები, მოიმარჯვოთ ხელში თოხები და შეესიოთ ბამბის ყანებს; დასძახოთ კიჟინა და სულ მუსრი გაავლოთ, სარაველა ბალახებს, რომელიც ბამბის ნათესების მეტად მახარალებელია.

ზოგი კი, ვისაც მარგვლა არ ეხერხება, უნდა ებრძოლოს ბამბის მავნებლებს — კალიას, თავეს და სხვას. ამ მიზნითაც უნდა შესდგეს პიონერ-ოქტომბრელთა მებრძოლი რაზმები.

ზოგი კი გვერდში უნდა ამოუდგეთ საბავშვო ბაღებისა და ბაგეების ხელმძღვანელებს, უნდა დაეცხმაროთ მათ პატარა ბავშვების მოვლა-პატრონობაში, რომელთა დედები ოფელს ღვრიან ბამბის ყანებში.

აი, რის გაკეთება შეგიძლიათ თქვენ, პატარა მეგობრებო, ბამბისათვის.

მაშ, თქვენი ახალგაზრდული აღფრთოვანებით შეუტებით ბამბის ყანებს, მიიღეთ მათ დამუშავებაში მხურვალე მონაწილეობა!

ა. ზ.

ვინ გაერთობა უბრალო ფლობის ჩვენ შრომის გარდა რა გვწამს ამხანად; სამფინგებისთვის იბრძვის ბორჯომი, მუშათა კლასი და „წყლის ქარხანა“.

პიონერებო! — სამფინგებისთვის, მგერა, იბრძოლებთ თავგანწირულად. ჩვენი მიღწევა შხამია მტრისთვის მათი მიზნები ხომ ჩაძირულა?!

ეგ მისწრაფება ეგზომ სრულია, ამთავორებულ მადლობებს იქერს, დღეს რომ წარსული კვდება სრულიად, ეს ხომ დღეს ჩვენში არ ბადებს იქებებს!

ვხედავთ, იღვრება შრომა ამდენი, ყველა მიღწევა ოფლით რწყულია, მაინც ვერ ნახავთ აქ წუთს გაცდენილს და მაინც ეგზომ შრომა გვწყურია.

მტერმა მრავალჯერ ხმალი გაღესა, მაგრამ მოუხდა ისევ ჩავება... განცდამ მახარა უმხურვალესმა, რომ ოქტომბერი ყველგან ჩადება.


თქვენ დამკვრელობას შეიძლებთ მაშინ, უბრალო ბოთლსაც თუ ჩათვლით ბროლად. თუ ამოიცნობთ ბოთლების არსში სამფინგებისთვის ბრძოლას და მოვლას.

ყოველ უბნთან ტემპები ჰყვანავს, გაცქერი უბნებს, ტემპებით გავსილს, ყოველ დარტყმასე მოისმის კენება ილაგაწყვეტილ კულაკურ კლასის.

პიონერებო! ხალხით მუდამ იღინეთ, როგორც მტკვარი, რიონი... ჩვენი ვალია ქარხანას უნდა მიეცეს ბოთლი ათ მილიონი.

თქვენ შეიღებთ ხართ ბრძოლის და შრომის, შეხორცებული მთელად ამ ხანას; თქვენს დახმარებას თვით გრძნობს ბორჯომი, მთელი მუშები და წყლის ქარხანაც.

გრიზა მსმზა.



საბჭოთა კავშირში სოციალისტური შრომით შენდება ახალ-ახალი გიგანტები. სურათზე: მშენებლობა კუნეცკოსტროიზე.



ოქტომბრის რევოლუციამ საფუძველი გამოაცალა და ძირფესვიანად გაანადგურა ძველი მმართველი კლასები. ჩვენ გავიმარჯვეთ და საბჭოთა კავშირმა ახალი გზებით დაიწყო განვითარება. რევოლუცია მოხდა არა მარტო პოლიტიკაში, არამედ ყველა სფეროში, ოქტომბრის რევოლუციამ გააუქმა ყველა კანონები ბურჟუაზიულ კლასისა.

ძველი ქვეყნის ნანგრევებზე უნდა აშენებულიყო ახალი ქვეყანა თავისი კულტურით. ჩვენ უნდა გავკეცვიყვიტა კავშირი ძველ ქვეყანასთან, რადგან „კომუნისტური რევოლუცია არის კავშირის რადიკალურად გაწყვეტა არსებული ქონებრივ ურთიერთობასთან, და რა, გასაკვირია, რომ ის რადიკალურად სწყვეტს კავშირს ტრადიციულ იდეებთან“ (მარქსი).

ოქტომბრის რევოლუციამ დაამსხვრია მონობის ყოველგვარი ფორმები. ოქტომბრის რევოლუციამ საფუძველი გამოაცალა ბურჟუაზიულ ოჯახს—როგორც ეკონომიურ უთანასწორობის შედეგს.

სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩვენში ფართო გზა მიეცა ახალი კულტურის განვითარებას, დაიწყო რღვევა ძველმა ოჯახმა, მაგრამ რღვევა ჯერ კიდევ არ დამთავრებულია.

ძველი ბურჟუაზიული ოჯახის ტრადიციები და ჩვევები ჯერ კიდევ საქმოდ და დღევანდელ ოჯახში.

დღეს ჩვენ არა გვაქვს ნამდვილი კომუნისტური ოჯახი, იგი აწი უნდა შეიქმნეს, აწი უნდა ჩამოყალიბდეს. ოქტომბრის რევოლუციამ შესძლო ოჯახურ ბორკილების დამსხვრევა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ქალი სამუდამოდ გავანთავისუფლებთ ოჯახურ ყოფა-ცხოვრების ტყვეობიდან.

ჩვენ ბევრი რამეს გაკეთებთ შევძელით ამ შხრივ. „დედაბიწაზე არც ერთ მოწინავე ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში არც ერთ დემოკრატიულ პარტიას მრავალი ათეული წლების განმავლობაში არ გაუკეთებია ის, რაც ჩვენ ჩვენი ხელისუფლების პირველ წლებში გავაკეთეთ (ეს იყო თქმული 1919 წ.) ჩვენ ჭეშმარიტად ქვა ქვაზე არ დავგიტოვებია იმ საზოგადოებრივ კანონებიდან, რომლებიც ეხებოდნენ ქალთა არათანასწორუფლებიანობას, განქორწინების სიძნელეს, მის საზოგადოებრივ ფორმალობას, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა არცნობას, მათი მამების ძებნას და სხვა და რომელიც ნაშთებიც, ბურჟუაზიის და კაპიტალიზმის სამარცხვინოდ, მრავლად მოპოვებია ყველა „განათლებ-

ბულ“ ქვეყანაში. ჩვენ ათასჯერ მეტი უფლება გვაქვს, ვიპაყეთ იმით, რაც გავაკეთეთ ამ სფეროში. მაგრამ რაც უფრო კარგად გავსწინდეთ ნიადაგი ძველ იბურჟუაზიული კანონებისა და დწესებულებების ნანგრევებისგან, მით უფრო ნათელი გახდა ჩვენთვის რომ ეს მხოლოდ ნიადაგის მომზადებაა შენობის ასაგებად და არა თვით შენობის აგება“\*) (ლენინი).

ამხ. ლენინი საცხებით მართალია. ნიადაგი გაწმენდილია საჭიროა შენობის აგება. როგორ უნდა შევსძლოთ ჩვენ შენობის აგება? ან ვინ უნდა იბრძოდეს პირველ რიგში მისთვის? ამი სათვის სიტყვა მივსცეთ ლენინს „მილიონ მშენებელთა შორის (მიმართავ და ლენინი კომკავშირელებს) თქვენ უნდა იყოთ პირველი მშენებელი კომუნისტური საზოგადოებისა. ასეთი მშენებელი უნდა გახდეს ყველა ახალგაზრდა, ვაჟი თუ ქალი“ (როგორ მოვახერხებთ ყოველი ეს, როგორ შევასრულოთ ბელადის სიტყვები. ამისათვის სიტყვას ისევ ლენინს მივცეთ, რომელიც გვისახავდა იმ ვხვებს, რომლითაც შეიძლება კომუნისტურ საზოგადოების აშენება.

„ნიადაგი გაწმენდილია და ამ ნიადაგზე ახალგაზრდა კომუნისტური თაობა უნდა აგებდეს კომუნისტურ ცხოვრებას, თუ თქვენ კომუნისტური აღმშენებლობის საქმეში მუშებისა და გლეხების მთელ მასას არ ჩააბამთ, კომუნისტურ საზოგადოებას ვერ ააგებთ“\*) თუ რომ ჩვენმა მამებმა შესძლეს ნიადაგის გაწმენდა, ჩვენ უნდა შევსძლოთ შენობის აგება. ჩვენს წინაშე დგას ამოცანა ახალი კომუნისტური ოჯახის შექმნისა, ჩვენ უნდა შევსძლოთ ქალის ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლება ბურჟუაზიულ ოჯახის ტრადიციებისაგან. ქალი ჩვენს ოჯახში ჯერ-ჯერობით ისევ მიჯაჭვულია ოჯახზე. ქალი უნდა მოვაცილოთ აყვანს, კერძას და მის ნაცარს, იგი უნდა მოვაცილოთ გობს და საცერს. ჯერ კი ქალმა ამ მდგომარეობა სთავი ვერ დააღწია. მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბრის რევოლუციამ სამუდამოდ დალეწა ძველი ოჯახური წყობის ბორკილები.

მართალი იყო ამხ. ლენინი, როცა ამბობდა: „დედაკაცი, მიუხედავად ყოველგვარი განმანთავისუფლებელი კანონისა, კვლავ რჩება ოჯახის მონად, რადგან მას ტვირთად აწევს, აღჩნობს, აჩლოუნგებს, ამკირებს ოჯახის წვრილმანს საქმე, რომლის გამოც იგი მიჯაჭვულია სამზარეულოზე, საბავშვო ოთახზე, რომელიც ნთქავს მის

შრომას ველურ უნაყოფო, წვრილმან, ნერვიულ, დამაშლუნგებელ, დამაშლულურებელი სამუშაოთი“. ჩვენი ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ შევსძლოთ ქალის მომზადება ოჯახის წვრილმან საქმეზე. ბოლოს და ბოლოს მარტო ქალის საქმეს არ უნდა შეადგენდნენ ბავშვების აღზრდა. ბოლოს და ბოლოს მარტო ქალი არ უნდა იყოს ნაცარ-ტუტთან კერძას მესაკუთრე, ეგ ხომ ისტორიულად დაკანონებული ფორმაა ოჯახისა. მამაკაცი ქალთან ერთად უნდა იღებდეს მონაწილეობას ოჯახურ საქმიანობაში. ჩვენ უნდა შევსძლოთ ქალის მოცილება ტუტთან კერძაზე, ჩვენ უნდა შევსძლოთ ძველი ბურჟუაზიულ ოჯახის ჩვევების საბოლოოდ განადგურება. როგორ შევსძლებთ ჩვენ ყოველივე ამას? ან როგორ შევადგინოთ მას? ქალს პოლიტიკურ თავისუფლებასთან ერთად ოჯახურ წვრილმან საქმეებისაგან განთავისუფლება ეღირსება მხოლოდ სოფლის მეურნეობის მთლიან კოლექტივიზაციის საფუძველზე, სოციალისტურ ქალაქების შექმნის დროს და საყოფაცხოვრებო აოტელეების და კომუნების ჩამოყალიბებაში. აი სად არის გამოსავალი. გამოსავალი მხოლოდ ჩვენი ყოფაცხოვრების სოციალისტურად მოწყობის სისტემაშია.

თუ რომ ახალი კომუნისტური საზოგადოების და ახალი ოჯახის შექმნის საქმეში უმთავრესად აქტიურ მონაწილეობას კომკავშირელი ახალგაზრდობა უნდა ღებულობდეს, ზოგჯერ ჩვენ მას ვერ ვხედავთ და ყოველის საკითხები უდავოდ ძახინჯდება. ახალმა ადამიანებმა, მაგრამ ბევრს ეს შიარლებმა და პიონერებმა უნდა შექმნან. ახალი ოჯახი უნდა შექმნან ახალ ადამიანებმა. მაგრამ ბევრს ეს არ ესმის და ჩვენს რიგებში არიან ისეთები, რომლებიც აცხადებდნენ „მოოჯახეობისათვის არ მცალია, ვინც შე მასიამოვნებს ჩემი ცოლიც ის არის და სხვა“). 1930 წლის აპრილში ყოფ. საკლემწე უნივერსიტეტთან არსებულ კ.კ. ბიურო-კოლექტივმა ჩაატარა ანკეტების შევსება ყოფა-ცხოვრებაზე, სადაც მთელ რიგ გასაოცარ და არა კომკავშირულ პასუხებს ვხედავთ განსაკუთრებით ოჯახისა და სიყვარულის შესახებ. ოჯახის შესახებ პასუხთა შორის უმეტესობა ასეთია: ოჯახი არ მწამს და არც ვიზრუნებ მის შესაქმნელად, მომავალი თაობისაგან არ ვსუნავ და რად მინდა ოჯახი“. ზოგიერთი ასეთ უხეირო აზრსაც გამოთქვამდა, კომუნისტურ საზოგადოებაში ყველაფერი განსაზოგადოებული იქნება, ოჯახი იქ იქნება საზოგად-


\*) ლენინი. \* მი-17 გვ. 230.  
\*) ლენინი. ტ. მე-17, გვერდი 320.




დღებრივი დაწესებულების მაგვარი, სადაც კარები ნახევრად იქნება და როგორც მინდა ისე ვიცხოვრებ“.

აღნიშნულ ამხანაგების აზრით კომუნისტურ საზოგადოებაში კარები ღია იქნება და ვისთანაც გინდა იმისთან იცხოვრებ“; ეგ ხომ ბურჟუაზიული ოჯახის ჩვეულებაა. გამოდის, რომ კომუნისტური საზოგადოება ხელს შეუწყობს პროსტიტუციას და გარყვნილებას. ეგ ძირშიც დარი დებულუებაა. კომუნისტური საზოგადოება სპობს პროსტიტუციისა და გარყვნილების ყოველგვარ ფორმებს. საშაგიეროდ აწესებს ოჯახს აგებულს ნებაყოფლობით პრინციპზე, ოჯახს შემდგარს წყვილისაგან, სადაც გარყვნილების ყოველგვარი ფორმები გამჭრალია. ზემო მოყვანილი პასუხები ანკეტაზე არაა კომკავშირული. ხალხი, რომლებიც არ ზრუნავენ მომავალ თაობაზე დაღუბულია, გაზრწნილია. ჩვენი ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ არ ვიზრუნოთ მომავალ თაობისათვის, არამედ პარიტიტ, ჩვენ უნდა შევსძლოთ ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც მესძლებს მამების მიერ დაწყებულ საქმის დამთავრებას, როგორც ვხედავთ კომკავშირის წინაშე ახალი ოჯახის შექმნის საკითხში მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები დგას. კომკავშირელის ოჯახი სანიმუშო უნდა იყოს, მაგრამ ზოგჯერ ჩვენ ამას იერ ვხედავთ. ხშირია კომკავშირელებს შორის ჩხუბი, ძალმომრეობა, იჭიანობა, ცემა-ტყევა და სხვა, რომელიც ბურჟუაზიული ოჯახის დამახასიათებელი თვისებაა, რომლის წინააღმდეგ კომკავშირმა გამანადგურებელი იერიშები უნდა მიიტანოს.

**კ. მელაძე.**



■ ბაგების ოწყობა ნავთისათვის ■



■ მებრძოლი კომკავშირელი ქალები ■

## სამხედრო ტურიზმი დასავლეთში

17 წელიწადი გადის მსოფლიო იმპერიალისტური ომის შემდეგ. ამ ომმა ოთხ წელიწადში იმსხვერპლა 30 მილიონი ადამიანი: 10 მილიონი მოკლული და 20 მილიონი დაჭრილი და დასახიჩრებული.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ევროპაში ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მესაქტენი ყოველი თვეს ლაყბობენ განაირალებაზე, იწვევენ სხვადასხვა კონფერენციას და თვალთმაქცობით ცდილობენ მასების თვალის ახვევას, მაინც ადგილი აქვს დიდ სამხედრო სამზადისს — ირაზმებთან თვით ბურჟუაზიული სახელმწიფოები ერთმეორის წინააღმდეგ და ყველა ერთად კი — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ყველა ამ საშუალების გარდა, რომელსაც დღემდე ბურჟუაზია იყენებდა და ახლაც იყენებს სამხედრო მომზადებისათვის, სპორტს აკუთვნებენ არა უკანასკნელ ადგილს. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ გავეცნობით სამხედრო ტურიზმს დასავლეთში.

ტურიზმი მოგზაურობაა. მაგრამ თუ ჩვენში მას ეძლევა კულტურული დონის აწევის, და დასასვენებელი დროს რაციონალურად ბუნების წიაღში გამოყენების ხასიათი, ევროპაში ფაშისტური ორგანიზაციები ცდილობენ და ტურიზმს კიდევ იყენებენ გასამხედროების მიზნით, თავისი ორგანიზაციის სამხედრო ჩვევებით გამობრძმედის ხაზით, და მთელი მოსახლეობის ომისათვის წინასწარ მოსამზადებლად.

მაგალითად, იტალიაში ჯარის გარდა კიდევ არსებობს ფაშისტური

რი მილიცია, რომელიც რეგულარულ ჯარზე ნაკლებ არ არის შეიარაღებული. მთავრობა ატარებს აგრეთვე ახალგაზრდათა ორგანიზაციების გასამხედროებას, ამ ორგანიზაციებში კი 1 წახ. მილიონი ახალგაზრდაა.

ფაშისტური შტაბი იწყებს ექსკურსიებს, რომ შეაჩვიოს ახალგაზრდობა საბანაკო სამხედრო მოგზაურობას და, დაწყებული ჩდილოეთიდან, ლაშქრული წესით მიემართებან ისინი ლომბარდიიდან ნეაპოლისაკენ და სამხრეთიდან დაწყებული სიცილიიდან და კალაბრიიდან ჩრდილოეთით ალპებისაკენ. მონაწილენი გზას ქვეითად გადიან, ცხოვრობენ კარვებში და ატარებენ სამხედრო მეცადინეობას.

ხშირად იტალიის ჭასამხედროებული ახალგაზრდობის ლაშქრობა გრანდიოზულ ჩასაითს იღებს. მაგ., ორი წლის წინად ჩდილოეთ იტალიიდან ფაშისტური ახალგაზრდობის 12-ათასიანმა არმიამ ქვეითად გადასურა აპენინის ნახევარკუნძული და შემდეგ ისინი ზღვით გადაიყვანეს კუნძულ სიცილიაზე, რომელიც სულ ქვეითად დაიარეს. იტალიის ჩრდილოეთ საზღვარში ალპის მთებით არის შემოზღუდული. წარსულ ომში იტალიელებს ჰყავდათ შესანიშნავი სამთო ჯარი „ალპიელ მსროლელთა“ სახელწოდებით, მაგრამ ვინაიდან იტალიის დანარჩენი ჯარები შეუჩვეველი იყვნენ სამთო სამხედრო ოპერაციებს. იტალიამ წარსულ ომში აესტრისთან დაჰკარვა 1917 წელს მდინარე ოზონცოზე



200.000 ჯარისკაცი. ამიტომ იტალიის ფაშის ბელადი მუსოლინი, ფიქრობს რა მეზობელი სახელმწიფოების დასაპყრობ იმეზზე, ამზადებს ალბის ძლიერ ჯარებს და ნერვავს ალპინიზმს.

მიუხედავად გერმანიის სრული დამარცხებისა იმპერიალისტურ ომში, საფრანგეთს ემინია გერმანიის მიერ სამაგიეროს გადახდის და აწარმოებს გააფთრებულ შეიარაღებას.

ახალი ომი საფრანგეთს იმდენად მოახლოვებულად მიაჩნია, რომ პარლამენტის მიერ უკვე დამტკიცებულია სამობილიზაციო გეგმა. ამიტომ ეს სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევს მოსახლეობის გასამხედროებას.

საფრანგეთის სამხედრო სამინისტრომ დიდი სესხი მისცა საფრანგეთის გაერთიანებულ ტურისტულ საზოგადოებას ექსკურსიების მოსაწყობად, ტურიზმის განსავითარებლად; ამ საზოგადოებმა წარსულ წელს 80.000 მოსწავლე ახალგაზრდა ჩააბა ამ საქმეში. ამ მუშაობის ჩატარებისთან, რამდენიმე ათასმა მოზარდმა ჩამოსკოლ ინგლისელ მოწაფეებთან ერთად მოაწყვა ექსკურსია მსოფლიო ომის მნიშვნელოვან ადგილებში (იმათ დაათვალიერეს იპრი, ვერდენი და სხვა.).

ინგლისში კი არსებობს ახალგაზრდათა მთელი რიგი გასამხედროვებული ორგანიზაციები; ამათგან გამოირჩევა გენ. ბადენ-პაულის მიერ დაარსებული „ბოისკაუტები“-ს (ბიჭები-მწვერავები) ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებს ლაშქრობებს და საბანაკო ცხოვრებას.

პოლონეთს, რომელიც არ კმაყოფილდება 300.000 შეიარაღებული ჯარით, ჰყავს კიდევ მილიონზე მეტი კაცი. მსოფლიო და სხვა სასპორტო ორგანიზაციების ნიღაბით. მათი გასამხედროების საქმეში მთავარი ადგილს ტურიზმი იჭერს.

ფილიპინაში, პოლონეთივით, მოფენილია გასამხედროებული საზოგადოებების ქსელი, რომელიც 100 ათასამდე კაცს იტევს. ისინი ზამთრობით მარჩილებით აწყობენ ლაშქრობას და ზაფხულობით კი ქვეითად მოგზაურობენ.

გერმანია, რომელსაც არ აქვს თავის შეიარაღებულ ძალთა გადიდების უფლება, მიმართავს სამხედრო პატრიოტულ კავშირების დაარსებას. ეს უკანასკნელნი უმეტეს შემთხვევაში ფაშისტურ - მონარქისტული ხასიათისაა და შედგებიან როგორც ახალგაზრდობისაგან, ისე მსოფლიო ომის მონაწილეთაგან.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ბურჟუაზია იყენებს ტურიზმს, როგორც სააგიტაციო საშუალებას.

ბას მსოფლიო ომის დროს განადგურებულ ან სხვა მზრივ აღსანიშნავ მნიშვნელოვან ადგილებზე ექსკურსიების მოსაწყობად.

მიღიარ ამერიკელებს ჩვეულებად აქვს ევროპაში მოგზაურობის დროს დაათვალიერონ მსოფლიო ომის დროს განადგურებული საფრანგეთის ჩრდ. ოლქები და ფლანდრია, ამიტომ ამ საექსკურსიო ადგილებში სპეციალურ გამაცილებელთა და ახსნა - განმარტებების მიცემათა კადრია, რომლებიც დახელოვნებულნი არიან ამ სამხედრო საქმეებში.

კუკის ცნობილმა ტურისტულმა საზოგადოებმა ორი წლის წინად მოაწყვა ტურისტული ექსკურსიაბი აზიამიც მსოფლიო ომის დროს სახელგანთქმული ადგილების დასათვალიერებლად (1928-1929 წლებში) სპეციალური გეგმებით 4 ათასზე მეტი ტურისტი ჩამოიყვანეს დარდა-

ნელში, იმ ადგილების სახანავად, სადაც გაცხარებული ბრძოლა სწორ მოხდა 1914-17 წლებში. აღუქმებსა და ინგლისელებს შორის.

დარდანელს გარდა ტურისტები წაიყვანეს სირიაში, პალესტინაში და სხვა.

ყველაფერი ეს ეწყობა მისთვის, რომ ბურჟუაზია ცდილობს ასეთი ცნობილი ადგილების ჩვენებით თავის „მამულიშვილით“ გაუღვიძოს პატრიოტული გრძობები და ამასთანავე ერთად ჩაატაროს გასამხედროებაც. შექმნან ძლიერი გამობრძმედილი არმიები მომავალი სამყვდრო - საციკლოცლო ბრძოლებისათვის, როგორც შრომასა და კაპიტალს შორის, ისე, ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, თავისი მტაცებლური პოლიტიკის დასაგვირგვინებლად.

გა—ლი.

# ყველა მუროველისადმი


სსსრკ-ის მთავრობის მიერ დაარსებული საზოგადოებრივი მოძრაობის კავშირი

მოსკოვში, 9 ივნისი. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და ყველა მშრომელი წარმატებით აშენებენ სოციალიზმს. ჩვენი საბჭოთა მრეწველობა ვითარდება და მტკიცდება. უფრო და უფრო გადიდებული ტემპით იწყებენ მუშაობას მსხვილი ინდუსტრიის ახალი გიგანტები. მრავალმილიონიანი გლეხობა ადგება თავისი მეურნეობის კოლექტივიზაციის გზას. მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე ხდება უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის — კულაკობის — ლიკვიდაცია.

ხუთწლიანი გეგმის მესამე, გადამწყვეტ წელს საბჭოთა კავშირი ამთავრებს სოციალიზმის საძირკვლის აგებას. იწყებს მუშაობას 518 უდიდესი ახალი ფაბრიკა-ქარხანა და 1040 სამანქანო-სატრაქტორო სადგური. მრეწველობაში მიღწეული წარმატებისა და საკოლმეურნეო მოძრაობის მძლავრი გაქანების საფუძველზე სოფლად მთავრდება სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია მარცვლეულის ძირითად რაიონებში. მთელი საბჭოთა კავშირის გლეხურ მეურნეობათა ნახევარზე მეტი უკვე შევიდა კოლმეურნეობაში. საკოლმეურნეო მოძრაობის ტალღა კვლინდებულად იზრდება და ფართოვდება. მაგრდება კოლექტიურად გაერთიანებული სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა. საბჭოთა კავშირი ძლევამოსილად ასრულებს საბჭოების მე-6 ყრილობის ისტორიულ დადგენილებას — მახლობელი ათი წლის განმავლობაში დაეწვიოთ და გავუქროთ ტექნიკურად და ეკონომიურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის ეს წარმატება უზრუნველყო იმ სწორმა ხელმძღვანელობამ, რომელსაც ბოლშევიკების ლენინური პარტია უწევდა საბჭოთა მშენებლობას, საბჭოთა კავშირის მუშებისა და მშრომელთა უსაზღვრო ნდობამ საბჭოთა მუშურ-გლეხური ხელისუფლების პოლიტიკისადმი, მათ მიერ ამ პოლიტიკისთვის აქტიურად მხარის დაჭერამ და მათმა განუზომებელმა თავდადებულმა მუშაობამ სოციალისტურ მშენებლობაში, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის ყოველმა მშრომელმა იცის, რომ ჩვენ, რომლებიც სოციალიზმს ვაშენებთ მტრული კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, შეგვიძლია ვიკონიოთ იმედი მხოლოდ საკუთარი ძალებისა და სახსრების, რომ ყოველი ჩვენგანის მოვალეობას შეადგენს აქტიური და თავდადებული მუშაობით და საკუთარი სახსრებით





დავებნართ ჩვენს სახელმწიფოს და ჩვენს ხელისუფლებას, რომ დავაჩქაროთ ტემპები, მოვაახლოვოთ სოციალიზმის აშენების ვადები და განვამტკიცოთ საბჭოთა ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობა კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან. სწორედ ამიტომ მიმდინარეობს ასე მწყობრად ჩვენში სესხის განაღდება.

მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში დაბანდებული იქნება 21 მილიარდ მანეთზე მეტი, რომლის საგრძნობი ნაწილიც სესხებით მიღებულ სახსრებზე მოდის. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის უფრო მოწინავე რაზმებმა, რომლებიც თავიანთ საწარმოებში მუშაობის დროს ყოველ მხრივ ანვიტარებენ დამკვერდლობასა და სოციალისტურ შეჯიბრებას, შემოიტანეს წინადადება სესხის „ხუთწლედნი ოთხ წელიწადში“ მეორედ გამოშვების შესახებ სახელწოდებით „ხუთწლიანი გეგმის მესამე, გადამწყვეტი წლის გამოშვების სესხი“. ამ სესხით მიღებული თანხა უნდა მოხმარდეს მხოლოდ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის უდიდეს დავალებათა დაჩქარებით შესრულებას, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის სწრაფად დამთავრებას და, მაშასადამე, ფართო მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის რაც შეიძლება სწრაფი ტემპით განვითარებას.

საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომელიც ეგებება მშრომელთა სურვილს და უშვებს ხუთწლიანი გეგმის მესამე, გადამწყვეტი წლის სესხს, ეჭვი არ ეპარება, რომ ყოველი მუშა და მუშაქალი, ყოველი კოლმეურნე და ყო-

ველი ღარიბი და საშუალო გლეხი—ეს მომავალი კოლმეურნეები — მოაწერს ხელს სესხს, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მის განაღდებაში და მით ახალი განაღდება რებელ ლახვარს ჩასცემს საბჭოთა კავშირის მტრებსა და მავნებელ — ინტერვენტებს, რომლებიც უნაყოფოდ ცდილობენ შეაჩერონ ძლევამოსილი სოციალისტური შეტევა მთელ ფრონტზე.

ადგილობრივმა საბჭოებმა და აღმასრულებელმა კომიტეტმა დაუყოვნებლივ უნდა დარაზმონ თავიანთი რიგები იმისათვის, რომ მთლიანად გაანაღდონ ახალი სესხი საბჭოთა კავშირის მშრომელ მოსახლეობის შორის.

მუშები, დამკვერდლები და კოლმეურნეები — სოციალიზმის ეს გმირი მშენებლები ჩვენს ქვეყანაში—წარმოადგენენ ახალი სესხის შემძენთა და გამავრცელებელთა მოწინავე რაზმებს. სოცშემჯიბრებისა და დამკვერდობის ახალი ტალღის აუვიტომებით, უარყოფითი საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარებით უოველ რამესა და ოლქსა და რაიონში, უოველ ქალაქსა და საბჭოთა მიწურნობასა და კოლმეურნეობაში უზრუნველყოფით ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ისტორიულ ამოცანათა შესრულება და მოვამყაროთ ნიადაგი სოციალისტური მთავრობის ახალი გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: მ. კალინინი.

# როგორი იქნება მომავალი ომი?

მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო

აკადემიის უზროსის ახს. მიქაილის პასუხი

საცხებით ცხადია, თუ რომელ ომზეა ლაპარაკი. აქ ლაპარაკი არის კაპიტალისტურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის ომზე. ეს იქნება გამწვავებული კლასიური ბრძოლა.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი ამბები ამ აზრების ცხადი დამამტკიცებელია.

თანამედროვე ომი უფრო მეტ სივრცეზე იქნება გაშლილი, ვიდრე საერთაშორისო იმპერიალისტური ომი. თითქმის მთელი მოსახლეობა ძალაუფლებურად იქნება მომავალი ომის მონაწილე. ასევე იყო 1918-21 წ.წ. სამოქალაქო ომში. საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები მხარს უჭერდნენ წითელ არმიას, აძლევდნენ მას მოხალისეებს, იბრძოდნენ და აწყობდნენ აჯანყებებს თეთრგვარდიელთა ზურგში, აარსებდნენ პარტიზანულ რაზმებს და სხვა. ასევე იქნება მომავალ ომშიაც.

თანამედროვე ტექნიკა ძალიან ჩქარა იზრდება. მსოფლიო ომის ბოლოს უკვე გამოჩნდნენ ტანკები და ავტომობილები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდა ჯარის დიდი ნაწილის ერთი რაიონიდან მეორეში გადასროლა. ახლა ტყვიამფრქვევთა რიცხვი 10-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს.

გამოჩნდა ბრძოლის ახალი საშუალება — ქიმიკა, რომელიც, გაზის საშუალებით, უდიდეს მანძილზე ანადგურებს ყოველივე სულდგმულს. წინად ეგონათ, რომ ქვეითი ჯარი ომის მარტივი შემადგენელი ნაწილი იყო, დღეს კი ის მექანიზაციკნილია, ტყვიამფრქვევებით, ქვემეხებით და გრანატმფრქვევებითაა შეიარაღებული.

რადგან შეიცვალა ტექნიკა, მაშასადამე, შეიცვალა სამხედრო მოქმედების არეც. უფინ ჯარისკაცები გრძელი ჯაჭვით მოძრაობდნენ, ისე რომ ერთი მეორის ახლოს იყო, ახლა კი თანამედროვე მეომარნი საბრძოლო მოედანზე პატარ-პატარა ჯგუფებად მოქმედობენ. მებრძოლისაგან დღეს საჭიროა დიდი გამძლეობა და ნებისყოფა. მებრძოლი ჯარისკაცის მომზადება ახლა უფრო რთულია, ვიდრე წინად. უბრალო, გაუნათლებელი ყმაწვილებიდან ჩვენ

უნდა აღვზარდოთ სამხედრო საბრძოლველი იარაღების კარგად მცოდნე და გამოყენებელი მეომრები.

საბრძოლო მანქანა — სერიოზული საგანია. ის ჩვენ გვეჭირდება, მაგრამ მთავარი და აუცილებელი ადამიანია, რომელიც მართავს ამ მანქანებს. აი სწორედ ამ საკითხში ჩვენ მეტი უპირატესობა გვაქვს ბურჟუაზიულ ქვეყნებთან შედარებით.

ბურჟუაზიული სამხედრო სპეციალისტები იმდენს არ ფიქრობენ სამხედრო ტექნიკის ზრდაზე, რამდენადაც მათ თავისი ჯარის ეშინიათ, არ არიან დარწმუნებული, რომ ეს ჯარი იბრძოლებს და თავს დადებს თავის სახელმწიფოსთვის.

წითელ არმიასში მოკლე ხნის განმავლობაში შეგვიძლია აღვზარდოთ ტექნიკურად მომზადებული მეომრები, თუ ჩვენი მუშები აქტიურად იმუშავებენ და გამოიყენებენ ყოველ შემთხვევას უბრალო საბრძოლველი იარაღების გასაცნობად.

რა უნდა გააკეთონ ამ მიმართულებით ბავშვებმა?


ბავშვებმა უნდა გააბან მჭიდრო კავშირი წითელ არმიასთან, წავიდნენ ხოლმე საექსკურსიოდ ყაზარმაში ჯარის საზაფხულო ბანაკებში, მოაწყონ ძველ მებრძოლთა და სამოქალაქო ომის გმირთა მოსაგონარი საღამოები. ბავშვები უნდა მუშაობდნენ თავდაცვა-აგვიქიმის ადგილობრივ ორგანიზაციებში, იყენებდნენ ამ საზოგადოების დახმარებას ომის საქმის ტექნიკის შესწავლისათვის, გაიარონ საბრძოლო თამაშის პრაქტიკა (ორიენტირება, ფარული მოძრაობის ცოდნა, ბრძოლის ველის დათვალიერება, ან საველე თვალთვალი, დაზვერვა და სხვა), ერთის სიტყვით, როგორც იტყვიან, უნდა გაამახვილონ თავი საველე მუშაობაში.

დაბოლოს, რაც მთავარია, ჩვენი ბავშვები უნდა აღიზარდონ, მთელი მრავალმილიონიანი მასების განსაკუთრებული ყურადღებით, თავდაცვისა და სოციალისტური სახელმწიფოს რევოლიუციონურად დაცვა-გამარების საქმისათვის.



# ორი ქვეყანა

## ქვეყანა, რომელიც იპირებს საიდუმლო დეპეშები



ამერიკის უძლიერესი რადიოსადგურები გადასცემენ მთელ ქვეყანას რადიოგრამებს. ყოველდღე —ათასი, ათი ათასი დეპეშა მოსავალზე და ფოქსტროტზე, სისხლიან აჯანყებაზე გონონულში და მის მელინის ბრწყინვალე ქორწილზე, ბოლშევიკების მუშაობაზე და ახალ კინოვარსკვლავზე გოლივუდიდან.

და უეტრივ გასაგებ და ჩვეულებრივ ათას რადიოგადცემათა შუანახევრად ფანტასტიური დეპეშა:

ნიუ-იორკი. —სამი დღი სწინად 2 ნახ. ათასი კასრი რძე გადაღვარეს მდინარე ილინიოსში მდინარე აიმღვრა, რძის ფასი 1 ნახევარჯერ გადიდდა. სარძეო ფირმების მდგომარეობა აღდგენილია. უმუშევრებს მოესპოთ საშუალება უყიდონ თავიანთ ბავშვებს რძე, თუნდაც კვირაში ერთხელ.

პირველ დეპეშის შემდეგ კიდევ უფრო საკვირველი: ნიუ-იორკი. —მთელი მატარებელი მწიფე საჯამთროები გადაყარეს მდინარე პოტომაკში. ქალაქ ვაშინგტონის ქვემოთ, საჯამთროებმა შეაგუბეს მდინარე. სასწრაფოდ გამოძახებულმა მეხანძრეებმა კაცებით გაგლიჯეს საჯამთროებისაგან გაკეთებული კაშხალი. საჯამთროები განაგრძობენ ცურვას ქვემოთ. თითო საჯამთროზე ფასი 25 ცენტინიდან (50 კაპ.) 52 ცენტინამდე (1 შან. და 04 კაპ.) ავიდა.

ამერიკულ დეპეშებს ესმაურებიან ასეთივე გაუგებარი დეპეშები ინგლისიდან.

ლონდონი. იარმუტში თევზის საჭერ გემებს აეკრძალოთ ზღვაში გასვლა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და კვირაობით. იმ დღეებიდანაც კი, როდესაც ისინი გადიან თევზის საჭერად, მათ ნება ეძლევათ იმუშაონ ამ სარეწაოზე მხოლოდ განსაზღვრულ საათებში. ამ განკარგულებამ დიდად შეამცირა სელდების დაჭერა. სელდი გაძვირდა. თევზის მრეწველთა მსხვილი კომპანიების მოგება იზრდება. უმუშევართა შორის დაიწყო შიმშილობა. და ხელახლად დეპეშა ამერიკიდან.

ნიუ-იორკი. ჩრდილოეთ - დასავლეთის შტატებში გზების გასწვრივ სდგას პლაკატები. ისინი წინადადებას აძლევენ ფერმერებს იხმარონ მარცვლეული ნახშირის მაგივრად შვრიის მოსავალი წელს უარესია, ვიდრე გასულ წელს, მაგრამ ბითუმად მოვაჭრეებმა გადასწყვიტეს გააძვირონ შვრია და დაიწყეს ფართო კამპანია შვრიის დასაწვავად. პური ძალზე გაძვირდა.

რიო-დე-ჟეჟენირო. ელსადგურის საცეცხლოურში იწვის ყავა. ბრაზილიის მეყავეთა კომპანიები ამით აძვირებენ ყავას.

ამ დეპეშების შემდეგ —ათეული ასეთივე დეპეშები:



**პაკისტალისტურ ქვეყნებში:**  
კაპიტალისტური ექსპლოატაცია თანდათან უახლოვდება სიკვდილს.  
პროლეტარული ენტუზიაზმით, პროლეტარული ნებისყოფით საბოლოოდ გაიმარჯვებს პროლეტარული შრომა.



5000 რონოდა ატამზე, შეგნებულად რომ გადაყარეს გეორგიას და ალბამის ხილულის ბაღებში, ბამბის ტომრებზე, ძალით რომ დასწევს. მენის მინდვრებში განზრახ მიწაში დატოვებულ კარტოფილზე, ინდოეთში ჩაით სავსე ყუთების მოსპობაზე, „სვიფტისა და კომპანიის“ საწყობებში დამპალ ხორცზე და სხვა და სხვა.

ათას ამგვარ დებულებებში განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო ერთი: სიკვდილი მელ-შოლსის.

ნიუ-იორკი. საკმაოდ დიდ მდინარე ტენესზე. იმ ადგილას, სადაც მდინარე ერთბაშად უხვევს და ჩანჩქერად გადასჩქეფს, ევროპის ომიანობის წლებში პოლკოვნიკმა კუპერმა ააგო სახელმწიფო ელსადგური მესლ-შოლსს. რვა ტურბინი, თითოეული 90-ათასი ცხენის ძალის სიძლიერის, იძლეოდა იაფ ელექტროდენს. სადგურის ახლო მაშინვე აღმოცენდა ბუმბერაზი სამრეწველო კომბინატი. ის შესდგებოდა საქარხნო 114 კორპუსისაგან. იქ ელექტროდენი ჰაერის გადაამუშავებით იძლეოდა ასიათასობით ტონა აზოტიან სასუქს, 45 ათასი კვ. კილომეტრი ამერიკის მინდვრებისა ამ ქიმიური კომბინატის ნაწარმოებით სუქდებოდა.

სადგური და მისი კომბინატი ნაყოფიერად მუშაობდნენ ორი წლის განმავლობაში. მაგრამ მესამე წელს მოულოდნელად მოვიდა განკარგულება.

— დაუყოვნებლივ დაიხუროს სადგური და შესწყვიტოს მუშაობა კომბინატმა.

სადგურმაც შესწყვიტა მუშაობა. ქარხნის 114 კორპუსში ცხოვრება ჩაკცდა. მათი ფანჯრები ამოჭედეს ფიცრებით. მრავალი ათასი მუშა კომბინატიდან ქუჩაში გაჰყარეს.

რათ მოკვდა მესლ-შოლსი? პირველად ეს არავინ არ იცოდა.

— ადვილი შესაძლებელია, — ფიქრობდნენ ზოგიერთები, — ის იძლეოდა ძვირ ელექტროდენს?

სრულიდაც არა: მესლ-შოლსის ენერჯია ყოველ შემთხვევაში სამჯერ უფრო იაფი იყო, ვიდრე ენერჯია ახლო მდებარე ელსადგურისა, რომელიც ეკუთვნის ფირმას „დუენერალ ელექტრიკ ამს.“

შეიძლება არავის არ ესაჭიროება სასუქი, რომელსაც ამზადებდა კომბინატი?

ესეც არ არის სწორი; მესლ-შოლსის დახურვის შემდეგ ამერიკა მრავალ ასიათას ტონა სასუქს ყიდულობს გერმანიაში და იხდის მასში გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ღირდა მესლ-შოლსის სასუქი.

— მაშ რისთვის აჭედეს მესლ-შოლსი?

ამ საკითხთან ერთად ამოტივტივდა ახალი, ასეთივე ბუნდოვანი საკითხები. ფერმერები, რომლებიც ცხოვრობენ მდინარე მისისიპის ნაპირზე, მოთმინებიდან გამოსულნი კითხულობდნენ:


— რისთვის არ მთავრდება მეორე, დამატებითი კაშხარი მდინარე ტენესზე? ფული არის, პროექტი მზადაა. მაშ რა აბრკოლებს? ჩვენ მეტის ლოდინი არ შეგვიძლია. ძალიან კარგად გვახსოვს, 1927 წელს მდინარე მისისიპის წყალდიდობამ რომ აიძულა 700.000 ფერმერი დასახლე-

ბული ადგილებიდან გაქცეულიყვნენ და მიყენა მათ 550 მილიონი მანეთის ზარალი. ამ კაშხალს ვრთხელ და სამუდამოდ მოესპო ამგვარი წყალდიდობის განმეორების შესაძლებლობა. მაშ რისთვის არ აგებენ მას? ნუ თუ სურთ 1927 წლის საშინელი წყალდიდობის განმეორება?

მისისიპის ფერმერების შემდეგ ალაპარაკდნენ მდინარე კოლორადოს ფერმერები.

— ჩვენი მდინარე

ძირს ექსპლუატატორთ კლასი, რომელიც შრომის საშინელ პირობებს უქმნის მუშებს და მთელ მშრომელ ხალხს.





**სოციალიზმის დღეების აღმნიშვნელი**

„დანარჩენებიც დამკვრელები არიან“.

ამს. გვახარიასთან, ნიუფოროდის ელსადგურის უფროსთან, მივიდა გერმანელი ამწყობი ჰარტმანი. მას უნდა აეწყო ახალი ტურბინი № 5.

— მითხარით, რა ვადაში ფიქრობთ თქვენი ტურბინის აწყობას?

— ალზო! — უბასუხა გერმანელმა. — თუ საქმე კარგად წავა, ამ სამუშაოს 9 თვეში დავასრულებ.

— რა დრო დასჭირდება ასეთი ტურბინის აწყობას გერმანიაში?

— ჰო! გერმანიაში ასეთი ტურბინი 3 თვეში ავაწყვეთ. მაგრამ ეს იყო, ალზო, გერმანიაში!

ამს. გვახარიამ გაიხსენა: აქამდე ნიუფოროდის ელსადგურზე ტურბინს 10-12 თვე აწყობდენ, მაგრამ მაინც სიქვა:

— ერ\*) ჰარტმან, გთხოვთ წარმოგიდგინოთ გერმანული მონტაჟის გეგმა.

ჰერ ჰარტმანმა წარმოადგინა, ამს. გვახარია კი მიიღო. ეს ნიშნავდა: უნდა აიწყოს ტურბინი 3 თვეში — 4-ჯერ უფრო ჩქარა, ვიდრე ამდენხანს აწყობდენ.

ტურბინი აღნიშნულ ხანაში ააწყვეს.

მაშინ ჰერ ჰარტმანს ჰკითხეს:

— რა ამბავია; ჰერ ჰარტმან, რა არის გამარჯვების მიზეზი?

— ასე მუშაობდენ რუსი მუშები. — უბასუხა ჰარტმანმა.

— თქვენ მათი კმაყოფილი ხართ?

— მათ შორის არის ორი. რომელთა მსგავსს ქვეყნად ვერსად ვერ ვიპოვით.

— დანარჩენები?

— დანარჩენებიც დამკვრელები არიან.

ჰერ ჰარტმანი მართალი იყო: დამკვრელობა იყო მიზეზი გამარჯვებისა ეს „ხუთწლედის წითელგვარდიელები“, რომელნიც ისე მიდობდენ ტურბინის ასაწყობად, როგორც იტრის სანგრების იერიშზე, ის ახალი ადამიანები, რომელნიც წარმოშვა ოქტომბერმა და რომელთაც თავისი საქმე მიაჩნდათ სასახელო და საგმირო საქმედ.

„ჩვენ დავამთავრეთ. — აბიყვანეთ ბუჟსირზე“

შრომა, არც თუ ისე შორეულ წარსულში დაწყებული, მონური შრომა, პროლეტარიატის სასახელო საქმედ იქცა.

მაგნეტოტროიზე ამთავრებდენ რკინა-ტინობის კაშხალს მდინარე ურალზე.

ერთსა და იმავე დროს მუშაობა წარმოებდა ორი მხრიდან მარჯვენა და მარცხენა ნაპირიდან. მარჯვენა ნაპირზე არის ინჟინერ ტამარკინის ბრიგადა, მარცხენაზე — ინჟინერ ლევიცკის.

— აბა ვინ პირველი დაატინობებს კაშხალის უკანასკნელ რონოდა ტინობს? — ეს შეიქნა თითოეულ ბრიგადის

\*) ჰერ — ბატონო.

დის სიპატიონის საქმედ, და სრულიად ჩვეულებრივად სამუშაოდ გმირობის ხაზს მიიღო.

რა დროც გინდა ყოფილიყო — ლამით და დასვენების საათებშიაც, ბრიგადები მუდამ მზად იყვნენ კაშხალაზე წასასვლელად. როდესაც საჭირო იყო მუშების ახალი ათეულები, მუშები კი არ იყო. ბრიგადები გამოდოდენ კაშხალაზე ყოველი რვა საათის შემდეგ, ისვენებდენ

გერმანული მონტაჟის გეგმა  
 ალზო! — უბასუხა გერმანელმა





მხოლოდ 6 საათს და კიდევ მუშაობდნენ, გამოსასვლელი დღეებით არ სარგებლობდნენ.

გადამწყვეტ დღედ შეიქნა 26 ოქტომბერი, მდინარის ორივე მხარეზე მეტონობენი ჩუმად მუშაობდნენ. ვერაფერს ვერ ბედავდა თამბაქოს მოწვევას, მხოლოდ სმაურობდნენ რონოდები ტინობით და მალლიდან ეშვებოდა სიღრმეში ტინობის რუხი მასა. სამუშაო სწრაფად მიდიოდა წინ და ქალე უნდა დასრულებულიყო.

მარჯვენა მხარეზე ინჟინერ ტამარკინის ბრიგადა ამთავრებდა უკანასკნელი თაღის ამოვსებას. მაგრამ ტინობის დასხმა შეუძლებელია: დაიგვიანა ამერიკელმა ინჟინერმა, რომელმაც უნდა სცნოს თალი მზად ტინობის გასაკეთებლად.

მეტონობენი აღელდნენ:

— მარცხენა ნაწილი აიღებს პირველობას! ნულარ დაველოდებით, მოდი, ვასხათ ტინობი!

ტამარკინი აშოშინებს! მას არ აქვს ამის გაკეთების უფლება.

— ნულარ ამოგვართვი სული: მარცხენა ნაპირი ამთავრებს — მოიტათ რონოდები!

მაგრამ ინჟინერი თავისაზე დგას. ასე გაღის საათი, მოუთმენელი საათი ელსმენის ზარების წყარუნისა დაკარგული ამერიკელი მისტერის ძებნაში. ნულარ უნდა ჩამოვრჩეთ ამხანაგებს ამერიკელის დავიანების გამო?

როდესაც უკვე აშკარა შეიქნა, რომ მეტი ლოდინი შეუძლებელია, მისტერი გამოცხადდა; მას არ სწამდა ასეთი ტემპები და ამისათვის არ იჩქაროდა.

ნამუშევარი გასინჯულია, ნებართვა აღებულია, მაგრამ ერთი საათი დაიკარგა. როგორ ავინაზლაურით ის? მაშინ მხოლოდ პირველად გამოიჩინა მეტონობეთა ბრიგადამ თვითნებობა: ინჟინერის ბრძანების გარეშე, მის ზურგს უკან, ბრიგადამ აამუშავა სათადარიგო ტინობის მზელავი მანქანა. 4 საათის ვაცხოველებული მუშაობის შემდეგ თალი მზად იყო, უკანასკნელი კუმბიტური ტინობი კაშხალაზე. მარჯვენა ნაპირმა დაიმარჯვა. მაგრამ ვანა მარტო ესაა საქმე? უნდა დავებმართო ჩამორჩენილ ნაპირს. და ბრიგადა, აავსო რა დარჩენილი ტინობით ურიკები, გაექანა მარცხენა ნაპირისაკენ.

— ჩვენ დავამთავრეთ, — ავიყვანთ ბუქსირზე!

და გადუშვეს საზიდავები მარცხენა ნაპირის უკანასკნელ თაღში.

20 წუთის შემდეგ მუშაობა აქაც დამთავრდა. კაშხალი მზადაა. ეს დღესასწაულია ორივე ბრიგადისათვის, როგორც გამარჯვებულისათვის, ისე დაძლეული ბრიგადისათვის, ვინაიდან კაშხალი მათი საერთო საქმეა, მეტონობებმა ტამარკინი მალა აისროლეს, გაჰკვივან იქნევნ ხელებს, შემდეგ უცებ, სტიქიურად, მოულაპარაკებლად, აიტაცეს ურიკებით დარჩენილი ტინობი და გაიქცენ ურალის შემალღებულ ნაპირებისაკენ:

— დაუდგათ ძეგლი ლენინს!

— დაახსი ტინობი კვარცხლობისთვის!

მოაგორე შეორე ურიკა!

ასე დამთავრეს დამკვრელებმა საბჭოთა კავშირში უდიდესი რკინა-ტინობის კარშხალი, გადააქციეს რა თავისი მუშაობა სიმამაცის და გამირობის საქმედ.

## ჩინეთში ღახპრიტმს მქვსი რევოლიუციონერი მწერალი

**ფინ-კან** — ახალგაზრდა მწერალი ქალი, იღებდა მონაწილეობას რევოლიუციონურ მოძრაობაში 1925 წლიდან და ემხრობოდა „მარცხენა ფრონტის მწერალთა ლიგას“ ავტორია რომანის „შპანსკნელი გამოსაპალი“, პიესის „ბამში“.

**ლი - ვი-სან** იყო ჩინეთის კომკავშირის ცმკას წევრი და რედაქტორი ვაზეთი „ჩინეთის ახალგაზრდობა“. გაზაფხულზე მიემხრო „მარცხენა ფრონტის მწერალთა ლიგა“-ს მის კალამს ეკუთვნის კრიტიკულ ბიოგრაფიული წერილი დოსტოვესკიზე, წიგნი — „რუსეთის გლეხობა და

რევოლუცია“ და კრებული ლექსებისა და მოთხრობების.

**ინ-ფუნ** — დაიწყო წერა 13 წლის ჰასაკიდან. მას ძლივ და შეუსრულდა 22 წელი. დასწერა ლექსთა 4 კრებული და კრებული მოთხრობებისა. ბევრს თარგმნიდა რუსულიდან. მებრძოლი რევოლიუციონერი - პუბლიცისტი.

**იუ-ში** — იყო სახალხო სკოლის მასწავლებელი. ერთი დამაარსებელთაგანი, „ლიგა თავისუფლებისა“ და ხელმძღვანელი „მარცხენა ფრონტის მწერალთა ლიგისა“. უმთავრესი ნაწერები ნათარგმნის გარდა: კრებული „მოთხრობები შემოიღ

ადამიანისა“ და რომანი „იმედი“, პოეტურ ნაწარმოებთაგან „თიბერპალი“, „სისხლი სდულს“ და ა. შ.

**ცუნ-ვი** — წევრი „ლიგა მემარცხენე თეატრალ მუშაკთა“, ერთი ჩამომყალიბებელთაგანი „ლიგა თავისუფლებისა“. თავგამოდებული რევოლიუციონერი და ხელმძღვანელი მუშათა მასიურ წრეებისა.

**სო - მ-კინ** — ახალგაზრდა, სამწერლო ასპარეზზე ახლად გამოსული მწერალი. თარგმნიდა პლენანოვს, ლუნაჩარსკის და სხ. ავტორი რომანის „ჩვენს წინაა სინათლე“. გამოუშვა აგრეთვე ორი კრებული ლექსებისა და პიესების.

## ჩ ა ნ - კ ა ი - შ ი ს ჩ ე ქ მ ი ს ქ ვ ე უ

ჩინეთში მოხელეები ძველიდანვე იყოფოდნენ ორ კატეგორიად — სამოქალაქო და სამხედრო. პირველისგან ყოველ შემთხვევაში თხოულობდნენ წერა - კითხვის ცოდნას; მეორე ვერაფერს ვერ ბედავდა თამბაქოს მოწვევას, მხოლოდ სმაურობდნენ რონოდები ტინობით და მალლიდან ეშვებოდა სიღრმეში ტინობის რუხი მასა. სამუშაო სწრაფად მიდიოდა წინ და ქალე უნდა დასრულებულიყო.

განათლების მინისტრის პორტფელი, რომელიც მან მიიღო უკანასკნელ დროს. ჩან - კაი-შიმ და გომინდანმა კარგად იციან მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობა რევოლიუციონერ მოძრაობაში და კონტრ - რევოლიუციონერ საქმიანობაში და ამიტომ ისწრაფიან დაიპყრონ იგი.

1927 წლიდან ჩინეთის ეროვნული ბურჟუაზია სათავეში უდგას კონტრ-რევოლიუციას; ინტელიგენციასა და მწერალთა შორის მოხდა დიფერენციაცია. ნაწილი წავიდა რეაქციის სამსახურში, მეორე ნაწილმა კი, მემარცხენე მწერლებმა და რევოლიუციონერმა ლიტერატურულმა საზო-

გადოება „შემოკედედა“, გადმოიხროლა ლოზუნგი: ლიტერატურა მასებს, „ვიბრძობოთ პროლეტარული ლიტერატურისთვის“.

ამ უკანასკნელი რამდენიმე წელს განმაჯობაში ჩინურ ენაზე გადაი-თარგმნა აუარბელი მარქსისტული ლიტერატურა აგრეთვე დიდძალი ნაწარმოები საბჭოთა მწერლებისა (გორკის, გლადკოვის, ფადეევის, სერაფიმოვიჩის, ოგნევის და სხვა) არ არის არც ერთი მემარცხენე ჟურნალი, სადაც არ თავსდებოდეს წერილები. ყოველივე ეს უდავოდ ახდენს უშუალო გავლენას ჩინეთის რევოლიუციონერ ლიტერატურაზე.



1930 წლის გაზაფხულზე ჩამოყალიბდა „მარცხენა ფრონტის მწერალთა ლიგა“, რომელშიაც ამჟამად რევოლუციონური მწერლები შედიან, ან ლიგის დასახასიათებლად საკმარისია აღვნიშნოთ, ის, რომ ის სრულიად აქტიური სახით იღებს მონაწილეობას ჩინეთის საბჭოთა რაიონების წარმომადგენელთა კონფერენციის მოსამზადებლად.

რა პასუხი გაცა ამ მოძრაობას კონტრ - რევოლუციამ? მან უპასუხა ამაზე პროვოკაციით და ტერორით; დაეყრდნო რა ბურჟუაზიულ და რევოლუციურ წვრილბურჟუაზიულ ლიტერატურას, წინააღმდეგ პროლეტარულ ლიტერატურისა გომინდანმა წამოაყენა ეროვნული ლიტერატურის ლოზუნგი „მანხაიში ვინმე ჩჟან-ციჟი-ხმა (ქალაქის მთავრობის თავმჯდომარე) ჩან - კაი-მის ბრძანების თანახმად მისცა 2000 დაიანი ჩჟინ-პოუს, რომელმაც ამ ვალით მოისყიდა მთელი რიგი „მწერლები“, როგორცაა სიუ - ვეი-პან და სხვები და იწყეს მათ გამოცემა ჟურნალების „ციან ფინ“ და „ცაო-ეც“, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ აქებდენ ეროვნულ ლიტერატურას და მკაცრად თავს ესხმოდნენ პროლეტარულ ლიტერატურულ მოძრაობას. „ამ ნაციონალიზმს ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვუწოდოთ წმინდა წყლის „დენტიზმი“, წერს არალეგალური გაზეთი, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „წითელი დროშა“.

თითქმის ყველა წიგნს, რომლებიც იგზავნება საბჭოთა კავშირიდან ჩინეთში, ან პირიქით, იჭერს ჩინეთის მთავრობა. გამოუკლებლივ ყველა

წითელ ყდაში სიტყვებით“ ს. ს. რ. კ.“ ან „ბრძოლა“ იკრძალება და „დუელი“ ჩინურად (ცზიჟე-დოუ) ემსგავსება სიტყვა ბრძოლა“ (ჩჟენ-დოუ), მანხაის „ნაციონალისტური“ ლიტერატურის ხელმძღვანელი არიან ქალაქის მთავრობის წევრი და გარნიზონის კონტრდაზვერვის უფროსი. მათი ინიციატივით იკრძალება წიგნები, იხურება გამომცემლობა და ა. შ.


გასული წლის ზამთარში სიკვდილით დასაჯეს ერთი წევრი თეატრალურ მუშაკთა მემარცხენე ლიგისა, ანხ. ცზუფეი. 7 თებერვალს მანხაიში დახვრიტეს 24 კომუნისტი და მათ შორის ხუთი მწერალი რევოლუციონერი, რომლებიც იყვნენ წევრები „მარცხენა ფრონტის მწერალთა ლიგისა“: ანხ. ანხ. ლი - ვეი-სენ, იუ-ში, ხოე-პინ, ინ - ფუ და ფინციან; ამასთანავე ანხ. ლი - ვეი-სენ ცოცხალი ჩამარხეს მიწაში.

ტერორი უფრო და უფრო ძლიერდება. ამხანაგები მანხაიდან იჭერებიან:

„მარცხენა ფრონტის მწერალთა ლიგა“ განადგურებულია: ერთი დახვრეტილები არიან, მეორენი დაპატიმრებულები, მესამენი — იძულებული იყვნენ გადასახლებულიყვნენ ჩინეთიდან, მეოთხენი ნახევრად მშვივრები ცხოვრობდენ.

„ჩვენ ვწერეთ ბევრი, — იტყობინებიან უკანასკნელნი — მაგრამ ჩვენს ნაწერს დევნის შიშის გამო არაფერ არ ბეჭდავს“.

ამ დროს „ნაციონალისტური“ ლიტერატურა გავრცელდა ასეთი საშუალებებით: გამოუშვეს ჟურნალი „ციან ფინ“ („ავანგარდი“), 2,000 ეკ-



პროლეტარული რევოლუციის სურათი

ზემპლიარი, ხელის მომწერი კი ამოჩნდა სულ 20; გამომცემლობა იძულებული შეიქმნა დახურულიყო; რაქციის მთელი სადგომი აღივსო უვრცელებელ ჟურნალით. მაშინ მთავრობამ და პატრონებმა ამ „ნაციონალისტური“ ლიტერატურისა მისცეს სუბსიდია (დანაშრება) და გაგზავნათ თავიანთი რედაქტორი. გარდა ამისა მთავრობამ დაუდო ამ გამომცემლობას ხელშეკრულება კიდევ ერთი ან ორი ჟურნალის გამოცემაზე, რის გამოც გამომცემლობა ხელახლად გაიხსნა.

ბევრი პატარა გამომცემლობა წიგნის მალაზია დაიხურა, მსხვილი გამომცემლობა, როგორცაა „ჩჟუ-ხუა“, კრიტიკულ მდგომარეობაში „წითელი ნაწარმოების“ დაბეჭდვის მათ მოელის დახურვა, თეთრი ლიტერატურას კი არა აქვს არავითარი გასავალი. გამომცემლობა „კომერშიალ პრესს“ იმავე მიზეზთა გამო სრულიად უარს ამბობს ყოველგვარ მხატვრულ ნაწარმოებზე.

საბოლოო ჯამში ბაზარზე გამოსულია სრულიად უაზრო დასურაობული ჟურნალები, ან სარაინდო რამენები და სექსუალური ლიტერატურა.

მაგრამ მიუხედავად უსასტიკო დევნისა, ჩინეთის ახალგაზრდა რევოლუციონური პროლეტარული ლიტერატურა იფურჩქნება და იმეორება ისტორიის რუსეთის რევოლუციონური ლიტერატურისა, ის პოპულარობს თავის ადგილს ჩინეთის კომპარტიის და კომკავშირის არალეგალური პრესის ფურცლებზე.



კომკავშირელი ქალები სამხედრო ბანაკში



# სოციალური ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით

წინა წერილში ვლაპარაკობდით, რომ არ შეიძლება საქმის ისე გაკეთება, თუ არ ვიცით რას ვაკეთებთ და რისთვის. ზოგიერთს ჰგონია, თუ კრებაზე გამოვა, ბევრ ლამაზ სიტყვას დანარჯავს, სოცშეჯიბრებაში გამოიწვევს და იმ ვალდებულებას გადააქარბებს, რომელიც მან იკისრა, ყველაფერი გაკეთებული იქნება.

ერთ-ერთ კოლექტივს ყველა აქებდა; დანარჩენ კოლექტივებს მიუთითებდნენ, რომ მისგან აელოთ მაგალითი. ამ ამბავმა ძალიან დამაინტერესა გადავსწავიტე მენახა, თუ რა გააკეთეს ამ კოლექტივის პიონერებმა — „რა გამოცდილებები აქვთ მუშაობაში, რის შესწავლა შეიძლება მათგან? ასეთი აზრები მიტრიალებდა თავში, როდესაც კოლექტივის კარი შევადე და შევედი. კოლექტივის საქმეები გადავავალე, მოიხსენიე საბჭოს თავმჯდომარეს, პიონერს და ხელმძღვანელს და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ის დრო, რომელიც პიონერებმა ამ საქმეს მოანდომეს, დაკარგული იყო.

საქმე ასეა: როდესაც ამ პიონერ-კოლექტივმა თავისი გეგმა გადაჭარბებით შეასრულა — 100 კილოგრამი რკინის მაგიერ 150 კილოგრამი შეაგროვა, საშეფო სოფელში გასაგზავნი ნივთების საყიდლად 30 მანეთის მაგიერ 36 მანეთი მოაგროვა, იფიქრეს, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს და უფრო მეტის გაკეთებას შესძლებენ. სწორედ აქედან დაიწყო მათი უბედურება, რასაც ისინი მიღწევად

სთვლიდნენ. საქმე ისაა, რომ რკინის, ქალაქის, სასუქი ნივთიერების, ფულის მოგროვება ძნელი საქმე არ არის სხვა სამუშაოსთან, მაგალითად, წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასთან შედარებით, ლითონის, ფულის შეგროვება უფრო მეტ ეფექტს იძლევა, უფრო სწრაფად კეთდება, ვიდრე წერა-კითხვის უცოდინართა ჯგუფისათვის, წერა-კითხვის სწავლება, ანდა შეუკავშირებელი ბავშვების ჩაბმა ორგანიზაციაში. და ჩვენი ნაცნობი კოლექტივის პიონერთა უბედურებაც სწორედ ის იყო, რომ ისინი რიცხვებს გამოევიდნენ, მიზნად დაისახეს არა ის, რომ ამ მუშაობით ალენარდათ თავისი თავი მებრძოლ ლენინელებად, არამედ ის, რომ საქმე გაეკეთებიათ. როდესაც კაცი მუშაობს მხოლოდ იმიტომ, მას ეს დაავალეს, და უნდა გააკეთოს, მიუხედავად იმისა, ეხმარება სახელმწიფოს თუ არა, როდესაც ის რიცხვებს მისდევს, მიზნად აქვს დასახული ბევრი გაკეთება, მხოლოდ იმიტომ, რომ ის სხვას ეჯიბრება და ამავე დროს კი არ იცის რისთვის, ეს უკვე საქმისნობაა, რასაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვიყენოთ და ჩვენი რიგებიდან განვდევენოთ.

ხსენებული კოლექტივის ხელშეკრულება ასეთი მუხლებისაგან შესდგებოდა:

1) შევაგროვოთ 20 მანეთი საშეფო სოფლის პიონერ-კოლექტივის ღარიბ პიონერთათვის ფორმის შესაქენად.

2) გამოუწეროთ სოფლის კოლექტივს სამი ცალი გაზეთი „სახალისო ფელი“ (ეხლა ამ გაზეთს „კოლექტივიზაცია“ ჰქვია).

3) გამოუწეროთ ჟურნალი „პიონერი“ და „ოქტომბრელი“ 2 ცალი. შევუძინოთ მათ ერთი რადიო-მიმღები და სხვა.

ამ ხელშეკრულებაში არ არის აღნიშნული არც მუშაობა შეუკავშირებელ ბავშვებში, არც ბრძოლა გაკვეთილების გაცდენასთან და ორწლიანობასთან, არც ბრძოლა საწარმოო-საფინანსო გეგმისათვის, არც ოქტომბრელთა ჯგუფში მუშაობა და სხვა.

## აი ხელშეკრულება

მაგრამ არ იფიქროთ, რომ ჩვენში ყველაფერი და ყველგან ასეა. იმ ხელშეკრულებების გარდა, რომელიც ჩვენ გავარჩიეთ, არის ბევრი ისეთი ხელშეკრულება, რომლისაგანაც უნდა ვისწავლოთ, რომელსაც ღრმად უნდა ჩავუყვირდეთ და ვეცადოთ, რომ ჩვენი სოცშეჯიბრების, ხელშეკრულებები უფრო კონკრეტული იყოს და გამოძიინარობდეს იმ პირობებიდან, იმ შესაძლებლობებიდან, რომელიც გარს გვარტყია და რომლის შესრულებასაც შევსძლებთ. აი ერთი ასეთი ხელშეკრულება.

ჩვენ, ესა და ეს, ამასთან და ამასთან (აქ აღნიშნულია ბაზების სახელწოდება, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებან) ვკისრულობთ სამი თვის განმავლობაში — იანვარი, თებერვალი, მარტი — შევასრულოთ შემდეგი:

1) გამოიყოს ზეინკალ-პიონერთა ბრიგადა და გაიგზავნოს საშეფო სოფელში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შესაკეთებლად.

2) მოიწამლოს ბაზის ძალებით 450 კილოგრამი სათესლე მასალა.

3) შექმნილ იქნეს სოფლის პიონერ-კოლექტივისათვის რადიო-მიმღები, დამზადდეს ბაზის რადიო წრესა და ტექნიკურ წრეში.

4) ამ ხნის განმავლობაში არ გვქონდეს არც ერთი უმიზეზო გაცდენა სკოლასა და კოლექტივებში.

5) გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა დაგვიანებას, გაკვეთილების უცოდინარობას, რისთვისაც ჩამოყალიბდეს ჩამორჩენილ პიონერებისათვის სამეცადინო ჯგუფი. ეთხოვოს მასწავლებელს დღეში ერთი საათი იმეცადინოს ამ ჯგუფში.

6) მოეწყოს წარმოებაში, რომელზედაც ჩვენ ვართ მიმაგრებული, საგუშაგოები; საგუშაგოების მოვალეობას შეადგენს — თვალყური ადევნოს საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებას, ცრუდამკვრელების გამოძიანებას, და სხვა.



წითელარმიელები დასვენების დროს



თავის მხრივ მოპირდაპირე ბაზა კი სრულობს შემდეგს (და აქ მოსდევს მთელი რიგი მუხლები, რომელიც მან უნდა შეასრულოს ამ ხნის განმავლობაში).

ერთის შეხედვით ეს ისეთი ხელშეკრულებაა, როგორც სხვა ხელშეკრულება, მაგრამ ძალიან შეცდება, ვინც იფიქრებს, აქ მთავარი ისაა, რომ ნათელია ვალდებულებები, ეს კი როგორც ზევით ვილაპარაკეთ, უმთავრესია.

აი როგორი უნდა იყოს ხელშეკრულებები, აი ვის უნდა მივბაძოთ და ვისგან უნდა ვისწავლოთ.

### როგორ ვაწარმოოთ ალრიცხვა

რაც შეეხება ალრიცხვას, ეს საქმე ჩვენში ძალიან ცუდად არის დაყენებული. შეიძლება ითქვას, რომ მას სრულიად არ ექცევა ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ მთავარი ყურადღება, შემოჩამოთვლილ საკითხებს გარდა, ამ საკითხს უნდა მიექცეს.

მართლაც, ხომ არ შეიძლება იმის უკოდინარობა, თუ რას ვაკეთებთ, როგორ სრულდება ხელშეკრულება, ე. ი. იგივე გეგმა\*).

რა შედეგები მოგიტანა მან, როგორ მონაწილეობენ მის შესასრულებლად ცალკეული პიონერები, ხომ არა აქვს ადგილი ცრუ დამკვირვლობას, ზარმაცობას და საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

უნდა ვვასხოვდეს, რომ უაღრეს-ხვოდ წინ ვერ წავალთ და მუშაობის თვისობრივ მხარეს ვერ გავაუმჯობესებთ.

ალრიცხვა ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს ქვევიდან ზევით, ე. ი. პიონერებიდან, როგორიდან, ბაზაზმდე და რაიონამდე. ეს ასე უნდა მოხდეს: როდესაც ხელშეკრულება უკვე მზად არის, როდესაც სამუშაო განაწილებულია, შემოღებულ უნდა იქნეს ალრიცხვის ასეთი ფორმა:

მიტომ და სოსომ როგორის შეკრებაზე დაადგვიანეს 5 წუთი, მიზეზი არა აქვთ—2.

როგორის ბრიგადამ 7 კაცის შემადგენლობით შეაგროვა 30 კილოგრამი სასუქი—7.

დანარჩენმა 8 კაცმა იმუშავა ხორბლის გაწმენდაზე, გაწმინდეს 20 კილოგრამი ხორბალი—8.

სულ 8.

ამჟამად, პიონერორგანიზაციის ახალი დებულების თანახმად, სოციალისტური ხელშეკრულება იდება 6 თვის ვადით და იგი ხდება კოლექტივის როგორის ბაზის სამუშაო მებრძოლი გეგმა ამ ხნის განმავლობაში. თუ როგორ ხდება ეს, ამაზე დაწვრილებით შემდეგ ნომერში.

ბ. ს.



ჩეხოსლოვაკია. ბავშთა დემონსტრაცია.

მორიგე პიონერებმა (ჩამოთვლილია გვარები) არ იმორიგეს კლუბში—5.

თითოეული საქმის ძისრულებაში როგორი იღებს დადებით (+) ნიშანს, ხოლო თუ არ შეასრულა (—). მაგალითად, ხორბლის გაწმენდაზე იმუშავა 8 კაცმა, როგორი მიიღებს 8+. არ იმუშავეს. თუ დღის განმავლობაში როგორმა მიიღო 15+ ნიშანი, ხოლო 6—, მაშინ 16—6=9. მაშასადამე, დღის განმავლობაში როგორმა მიიღო 9+ ნიშანი (უარყოფითი არ ეთვლება). აქი უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული პიონერის მოქმედება, უარყოფითია ის თუ დადებითი, როგორს ეთვლება. ასეთი ყოველდღიური ანგარიშებიდან ყოველ ორ კვირაში ერთხელ (უმჯობესია დეკადაში ერთხელ) უნდა ორგნოდეს სპეციალური ანგარიშები.

ამ ანგარიშს დაერთვის ცნობა, თუ რამდენი ვაკეთდა ხელშეკრულების დადების დროიდან და რამდენი უნდა ვაკეთდეს, მოვასწრებთ თუ ვერა, რა მიზეზით ვერ შეხროოდა სადევადო კალენდარული გეგმა და სხვ.

ამის შემდეგ ეს ანგარიში უნდა წარედგინოს კოლექტივის საბჭოს, რომელიც ამოწმებს, იხილავს სოცმეჯიბრების მსილელობას, აძლევს მას პრაქტიკულ მითითებებს, გადააქვს საკითხი საერთო კრებაზე და სხვა.

ამ ორკვირეული ანგარიშების საფუძველზე ოიბა კოლექტივის საერთო ანგარიში, რომელიც გადადის

ბაზაში ან, თუ ასეთი არ არსებობს, რაიონში.

ასეთი წესით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა დროზე მივილოთ ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად და ხელშეკრულების გადაჭარბებით შესასრულებლად ამ საქმისათვის, ე. ი. ალრიცხვისათვის, უნდა გამოიყონ მტკიცე პიონერები 3-5 კაცის შემადგენლობით.

### მიხვეულს

ამ წერილის მიზანია — დაეხმაროს პიონერ-კოლექტივებს სოცმეჯიბრების საქმეში, ვაარკვიოს და წინ წასწიოს ეს საქმე. წერილი მთლიანად აგებულია ცოცხალ მაგალითებზე. ეს მაგალითები პიონერ-კოლექტივების ცხოვრიბიდან არის აღებული. ერთის მხრივ ნაჩვენებია, თუ როგორი არ უნდა იყოს სოცმეჯიბრება, ხოლო მეორეს მხრივ ნაჩვენებია მისაბაძი მაგალითები. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ ეს ანონად უნდა მივილოთ, არა, საჭიროა თითოეული ჩვენგანი ჩაუკვირიდეს თავისი კოლექტივის როგორის მუშაობას, ასწონ დასწონოს ის. შეიძლება თქვენა გაქვთ მუშაობის უფრო უკეთესი გამოცდილება — საჭიროა ეს ყველამ იცოდეს. საჭიროა ის გამოცდილება სხვებსაც გაუზიაროთ, რომ ჩამორჩენილები გვერდში ამოიყენოთ და ერთად, პიონერულად გავსწიოთ დასახული მიზნისაკენ.

ბ. საათაზვილი.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.



ჭადრაკსა და გავრცელებულ სხვა სათამაშოებს შორის (როგორცია ნარდი, ბანკო, დომინო და სხვა) დიდი განსხვავებაა. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ თუ ნარდის, დომინოს და სხვა თამაშის დროს წაგება-მოგება ბრმა შემთხვევაზე ან კამათის მოსვლაზე დამოკიდებულია, ჭადრაკი გონებრივი მუშაობაა, გონებრივი თამაშია. ერთი ცნობილი მოჭადრაკის თქმით, „ჭადრაკი კიორი ჭკუის, კიორი ხასიათის ბრძოლაა“. თუ უბრალო სათამაშოებს გართობისათვის მიმართავენ და სხვა ღირებულება არა აქვს, ჭადრაკი მართლმოდენ გართობას კი არ შეიცავს, არამედ მას დიდი სარგებლობა მოაქვს მოთამაშისათვის. რადგანაც ჭადრაკის თამაში მოსაზრების, მოფიქრების დაკვირვების გარეშე არ შეიძლება, ამიტომ მოგებული რჩება ის, ვინც დაკვირვებულია, აუჩქარებელია, ვინც ამართლებს თქმას „ასჯერ გაზომე და ერთხელ გამოსტყერი“. თუ გონების გამაზივლება და ყურადღების დაქმნა აუცილებელია, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თამაში წრფელის გონებას, სარგებლობას აძლევს. მართლაც, ჭადრაკის თამაში ადამიანს აჩვევს წინ დახედულობას, აუჩქარებლობის აუცილებლობას, ღრმად ჩაფიქრებას, აწონ-დაწონვას, სწრაფ აზროვნებას და სხვა... გარდა ამისა, მას დიდი სიამოვნებისა და დატკბობის გრძობის მოგვრა შეუძლია. მოხერხებულად გაკეთებული სვლა (ჭადრაკის ფიგურის ამოძრავება), საერთოდ ლამაზად გათამაშებული პარტია (ხელი) ისევე აკმაყოფილებს მოთამაშეს, ან მკოდნე მაცურებელს, როგორც, მაგალითად, მუსიკა.

ვისაც აკლია გონებრივი სიღრმე, მას არ შეუძლია რამდენიმე საათს იფიქროს ერთ საგანზე. ასეთი კაცი ჭადრაკში გამოიცდება ყველაზე უკეთესად: იგი სერიოზულად ვერ ითამაშებს; ზერეულ და ჩაუკვირებელია. მზატე, არამტკიცე—ჭადრაკს ვერ დაუდებს გულს.

იმის გარდა, რომ ჭადრაკის თამაში გონებას ავარჯიშებს და ამაზივლებს, იგი ნების-

ყოფაზედაც მოქმედობს. ადვილია იმის წარმოდგენა, რომ საკმაოდ დიდ ხანს დაფიქრება თუგინდ ერთ სვლაზე, აუცილებელია, ფრთხილი, თავდაპირველი მოქცევა—ნებისყოფაზე მოახდენს გავლენას.

ყველა ზემოთქმული შეგვაჩვენებს იმაში, რომ ჭადრაკი თამაშია. მართლაც, უფრო სწორი იქნებოდა მისთვის სხვა შესაფერისი სახელი დაგვეჩქევა.

საინტერესოა ვიკითხოთ, თუ სად და როგორ წარმოიშვა და გავრცელდა ჭადრაკი. ყველაზე გავრცელებულია შემდეგი აზრები: ძველ დროს ინდოეთში მეფობდა ერთი მრისხანე და სასტიკი მეფე, რომელიც სრულიად უმიზეზოდ ღარიბ და დაჩაგრულ ხალხს სიკვდილით სჯიდა. მისთვის არ არსებობდა არც კანონი, არც შებრალება, არც პატივისცემა. მთელი ინდოეთის მონები და დაჩაგრულები მწარედ გმინავდნენ შეუბრალებელი მეფის ადვირახსნილ ბატონობაში. იმ დროს ცხოვრობდა ერთი ბრძენი—ნაზირი, რომელმაც განიზრახა მეფის მიუკარგებელი ხსიათის შეცვლა. ამ მიზნით მან გამოიგონა ჭადრაკი, რომლითაც მეფეს დაუმტკიცებდა, რომ იგი უღონო და უმწყობა, გარშემო მყოფნი რომ არ იფარავდნენ მეფე მოხიბლა ამ საუცხოო თამაშის გამოყენებით და გამომგონებელს, ბრძენ ნაზირს, უთხრა: რასაც ისურვებ, შეგისრულებო. ნაზირმა სულ ცოტა მოითხოვა: დაედო ჭადრაკის დაფის ერთ უჯრაზე ერთი მარცვალი ხორბალი, მეორეზე—ორჯულ მეთი, მესამეზე—ორჯულ მეთი, ვიდრე მეორეზე, მეოთხეზე—ორჯულ მეთი, ვიდრე მესამეზე და ასე ბოლომდე. (ჭადრაკის დაფა შედგება 64 უჯრედისაგან). რამდენი მარცვალი ხორბალიც გამოვიდოდა ჯამში, მისთვის უნდა მიეცა. მეფემ იფიქრა: ასე ცოტას თუ მოხვებს, ახლავე დაეკამყოფილებ თხოვნასო. ბრძანება გასცა—სწრაფლ გამოეანგარიშებინათ და მიეცათ გამომგონებლობისათვის ხორბალი. როდესაც დაიწყეს გამოანგარიშება, იმდენი ზამოდიოდა, რომ მთელი დედამიწის ბელლებში არ აღმოჩნდებოდა ამდენი.



ახალი ელევატორი—დას. ციმბირში.

625 მილიარდი ყყავრი ხარი დასპირდება მის გადაზიდვასო, გამოიანგარიშა ერთმა მოჭადრაკემ. რა თქმა უნდა, ეს ლეგენდაა. გადაჭრით ის შეიძლება ითქვას, რომ ჭადრაკის სამშობლოდ ინდოეთი ითვლება. იგი უნდა გამოეგონათ ქრისტეს დაბადებამდე მე-3 საუკუნეში. ამ ქვეყნიდან ჭადრაკი გავრცელებულია სპარსეთში; არაბებს იგი ევროპაში გაუფრცელებიათ.

საქართველოში ჭადრაკი, საფიქრებელია, მე-7 საუკუნეიდანაა შემოსული, როდესაც იწყება ჩვენში არაბების შემოსვლა, რომ უძველესი დროიდან გავრცელებულია ჩვენში ჭადრაკი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ხალხურ პოეზიაშიც ჭადრაკის სახელი გვხვდება. ხალხი ამბობს: „ჩემი საქმე ჭადრაკულადაა“, „დაშამათებული კაცი“ და სხვა).

სწორედ იმიტომაც, რომ ჭადრაკი ასეთი სასარგებლო და გამოსაყენებელი საქმეა, იგი დღეს დიდთ გავრცელებულია განათლებულ ქვეყნებში და კერძოდ საბჭოთა კავშირში. ჩვენში ჭადრაკს დიდი ყურადღება ექცევა. კავშირის ყოველ კუთხეში არსებობს სპეციალური წრეები, საზოგადოებები, კლუბები, იმართება შეჯიბრებები და სხვა...




ჭადრაკი ფართოდ არის გავრცელებული პიონერთა შორის. ყოველი შეგნებული პიონერი უნდა სწავლობდეს ჭადრაკს. ოღონდ ზაანა არ უნდა მოუტანოს მას ჭადრაკმა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ჭადრაკმა დიდა გატაცება იცის და ეს ხშირად ხელსაც ალენაუნებს ახალგაზრდას, რასაც უნდა ვებრძოლოთ ზომავზე მეთი და გადაჭარბებულა, გეგმავეუწონებელი თამაში ავენებს ახალგაზრდა მოთამაშეს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ხანგრძლივი თამაში საგრძნობლა უღლის, აღუნებს გონებას. ამიტომ გადაჭარბება არა სასურველია.

(შემდეგი იქნება)



იაპონია, პოლიცია აპატიმრებს დემონსტრანტებს.





კ ი თ ნ ე რ ე ზ ო !

იკითხეთ და გაავრცელეთ თქვენი  
ეჭურნალი

„პ ი თ ნ ე რ ი“

იგეჭდება და მოკლე ხანში გამოგვა

კ. მ ე ლ ა კ ი ს

ბ რ ძ ო ლ ა ა ხ ა ლ ი

ყოფა-ცხოვრებისათვის